პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 15 (14011) | პარასკევი, 19 იანვარი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

## მეციტრუსეებმა შეასრულეს პირობა

სახელოვანი შრომითი გამარჯვებანი მოიპოვეს ქართველმა მეციტრუსეებმა. მათ ძალ-ღონე და ენერგია არ დაიშურეს, რათა შეესრულებინათ ჩვენი ქვეყნის ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს მეციტრუსეებმა დაუპირისპირეს დიდი ორგანიზატორული მუშაობა ნარგავების მოვლა-პატრონობისათვის, ზუსტად ასრულებდნენ აგროტექნიკურ ღონისძიებებს. ამინდის რთულ პირობებში მიმდინარეობდა მოსავლის აღება. მიუხედავად ამისა გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსების კრეფის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 29 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, აქედან 26.158 ტონა მანდარინი, 5.158 ტონით მეტი, ვიდრე წლიური გეგმით იყო გათვალისწინებული.

შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს აჭარის ასს რესპუბლიკის სოფლის მშრომლებმა, რომლებმაც დაამზადეს 23.200 ტონაზე მეტი მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, რაც წლიური გეგმის 140 პროცენტს შეადგენს. დიდძალი ციტრუსი მიჰყიდეს სახელმწიფოს სოფლების ქვედა ულიანოვკის, ხუცუბნის, ...ის, დაგვის, ხელვაჩაურის, მეჯინისწყლის, სარფის კოლმეურნეობებმა, ციხისძირის, მახინჯაურის, ახალშენის, ... საბჭოთა მეურნეობებმა და მთელმა რიგმა სხვა მეურნეობებმა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მეურნეობებმა 130,7 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მანდარინის მიყიდვის წლიური გეგმა. უხვი მოსავლის მოწევაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ილიჩის სახელობის, „ფსირცხის" და კოხორის საბჭოთა მეურნეობებმა.

კარგად იშრომეს მახარაძის რაიონის მთელმა რიგმა მეურნეობებმა. სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეციტრუსეებმა, მაგალითად, გეგმის გადამეტებით დაამზადეს დიდძალი ციტრუსის ნაყოფი.

ახლა მეციტრუსეობის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობს ბრძოლა, რომ სიცივისა და თოვლის გამო არ დაზიანდეს არც ერთი ნარგავი, რომ ხუთწლედის მესამე წელს მშრომელებმა მიიღონ უფრო მეტი ციტრუსები. (საქინფორმი).

## ინიციატივა და შეჯიბრების ძალა

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების, შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ნახევარი საუკუნის გამოცდილებამ ნათლად გვიჩვენა, რომ ყოველი ახალი გამარჯვება, წინსვლა კომუნისტური მშენებლობის ამათუ იმ უბანზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხალხში წარმოშობილ ინიციატივაზე.

ინიციატივისა და სოციალისტური შეჯიბრების ცხოველმყოფელობა, სიდიადე ერთხელ კიდევ ბრწყინვალედ დაამტკიცა გასულმა საიუბილეო წელმა. მან მოგვიტანა დიდი წარმატებანი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. ეს არის მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის შესანიშნავი მაგალითი.

საბჭოთა ხალხის ამ დიდ მოძრაობას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა და ფართოდ განავითარეს ინიციატივა, თვითმოქმედება. გავიხსენოთ: საიუბილეო, 1967 წელს მეჩაიეებმა, მევენახეებმა, მემინდვრეებმა, მეხილეებმა, მეჭარხლეებმა, მეციტრუსეებმა, მეცხოველეებმა და სხვა დარგების მუშაკებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. ახლა უფრო მაღლა აღმართეს სოციალისტური შეჯიბრების დროშა, აქტიურად იბრძვიან იმისათვის, რომ მოიპოვონ ახალი, უფრო დიდი წარმატებები და ღირსეულად შეეგებონ დიად თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავს.

ასეთი შესანიშნავი ინიციატივა, მისწრაფება ყოველთვის წარმოიშობა ხოლმე საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ჯერ კიდევ 1966 წელს გორის, წითელწყაროს, კასპის, ზუგდიდის რაიონების სოფლის მშრომელებმა სერიოზული ვალდებულებები იკისრეს საიუბილეო წლისათვის და მოუწოდეს რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს მიებაძნათ მათი მაგალითისათვის. ამ თაოსნობამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა და ამის შედეგიც არის 1967 წელს მოპოვებული წარმატებები.

მაგრამ გუშინდელი წარმატება დღეს საკმარისი არ არის. ამიტომ კვლავ გამოჩნდნენ კეთილი საქმის, ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ინიციატორები. გორის რაიონის მშრომელებმა პირობა დადეს ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულონ. საგარეჯოს რაიონის მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს სანიმუშოდ მოამზადონ ტექნიკა, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ 1968 წელს მოიყვანონ უხვი მოსავალი. გორელთა და საგარეჯოელთა მაგალითისამებრ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება.

ეს საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება სრულფასოვანი, შედეგიანი მაშინ არის, როცა მას სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, პროფკავშირის აქტივისტები, მეურნეობის ხელმძღვანელები, სპეციალისტები, კომკავშირელები. ეს კარგად ესმით წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსან კოლმეურნეობაში, რომელსაც 80 წელია გამოცდილი სამეურნეო მუშაკი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. მაიაშვილი ხელმძღვანელობს. აქ პირველადი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ამოწმებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, სახავენ ღონისძიებებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. აწყობენ შეჯიბრების საჯაროობას. აქვთ მოწინავეთა საპატიო დაფა. დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშები. კოლმეურნეთა შრომას, ავკარგს კარგად აშუქებს კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთი. ზემო მაჩხაანელები ახლა მტკიცე საფუძველს უყრიან ხუთწლედის მესამე წლის უხვ მოსავალს, იბრძვიან მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის.

შეჯიბრების ინიციატორებმა — საგარეჯოელმა მექანიზატორებმა გასული წლის მეოთხე კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 54 ტრაქტორის ნაცვლად შეაკეთეს 75 ტრაქტორი, 45 გუთნის ნაცვლად — 88. მათ მაგალითს მიბაძეს და წარმატებით შრომობენ გურჯაანის, სიღნაღის, ხაშურის, ზესტაფონის, კასპის, თეთრი წყაროს, მცხეთის, გარდაბნის, წყალტუბოს, აბაშის, ცხაკაიას, ხობის, მახარაძის და სხვა რაიონების მექანიზატორები, სოფლის მშრომელები.

ამას წინათ მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მონაწილეებმა მოიწონეს გორელთა და საგარეჯოელთა თაოსნობა და გადაწყვიტეს: 1968 წელს სამშობლოს მისცენ 4.000 ცენტნერი ხორცი, 17.000 ცენტნერი რძე, 76.000 ცენტნერი ყურძენი, 18.000 ცენტნერი ხილი, 50.000 ცენტნერი ბოსტნეული. მცხეთელთა პირობაა 1968-1969 წლებისათვის შეასრულონ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, აბრეშუმის პარკის, მარცვლეულის, კარტოფილის, ყურძნის წარმოების ხუთწლიანი გეგმა.

მასებში წარმოშობილი თაოსნობა, შეჯიბრება თანამედროვე ეტაპზე — ეს არის შემოქმედებითი ბრძოლა მაღალი ეკონომიური მაჩვენებლებისათვის, ყოველივე ახლის, პროგრესულის წარმოებაში დანერგვისათვის. ეს არის აქტიური ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, დავროვების გადიდებისათვის. სოფლის მშრომელთა გადაუდებელი ამოცანაა სოციალისტური შეჯიბრების დროშით კვლავაც აამაღლონ მიწათმოქმედების კულტურა, გაზარდონ მინდვრების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, სულ უფრო სრულად დააკმაყოფილონ მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილება სურსათზე და მრეწველობისა — ნედლეულზე.

ინიციატივა და შეჯიბრების ძალა საზოგადოებრივი ცხოვრების სულ ახალ და ახალ სფეროებს მოიცავს. იგი ყოველმხრივ უწყობს ხელს სოფლის მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებას, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის თვისებების გამომუშავებას. ყველაფერი ეს განაპირობებს კომუნიზმის მშენებლობის ტემპების დაჩქარებას.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა ფართო გზა მივცეთ მშრომელთა თაოსნობას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას. ამისათვის მთავარია უზრუნველვყოთ შეჯიბრების ფართო საჯაროობა, შეჯიბრების მონაწილეთა შედეგების პოპულარიზაცია, მუშაობის საუკეთესო ნიმუშების, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელება, ამხანაგური, ურთიერთ საქმიანი დახმარება, მოწინავეთა მორალური და მატერიალური წახალისება. მაგრამ ამავე დროს ადგილობრივმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა იბრძოლონ შეჯიბრებაში ყოველგვარი შაბლონის, ფორმალიზმის წინააღმდეგ, განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებას საქმის ცოდნით უნდა ხელმძღვანელობდნენ პარტიის რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

ჩვენი სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებმაც წინა წლებში დიდი წარმატებებით გაახარეს სამშობლო, პარტიული ორგანიზაციების დახმარებით და ხელმძღვანელობით ენერგიულად იშრომებენ იმისათვის, რომ მშობლიურ პარტიასა და მთავრობას უპატაკონ 1968 წლის გეგმებისა და ხუთწლედის ვადამდე გადაჭარბებით შესრულება.

## გეგმის გადამეტებით

საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ყლოშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. ელბაქიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. თეთრუაშვილმა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებს 1968 წლის პირველი იანვრისათვის სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 12.160 ცენტნერი ხორცი, ფაქტიურად მიყიდულია 15.536 ცენტნერი ხორცი, 59.294 ცენტნერი რძე ნაცვლად 49.770 ცენტნერისა, 1.573 ცენტნერი მატყლი ნაცვლად 1.255 ცენტნერისა, 1.203.000 ცალი კვერცხი ნაცვლად 800.000 ცალისა, 12.860 ცენტნერი მარცვლეული, ნაცვლად 9.150 ცენტნერისა, 27.160 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად 17.600 ცენტნერისა. დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, ტყავნედლეულისა და ქურქეულის მიყიდვის წლიური გეგმები, მეცხოველეობის სულადობის ზრდის გეგმა.

ახალი წლის პირველი დღიდანვე რაიონის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ 1968 წელს გასულ წელთან შედარებით სახელმწიფოს მიჰყიდონ მეცხოველეობის უფრო მეტი პროდუქტები.





ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში ახალი წლის დასაწყისიდანვე გაიშალა შემოქმედებითი შრომა მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. ამ საერთო საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ ადამიანებსაც, რომლებსაც ფოტოსურათებზე ხედავთ. დღიური დავალების გადაჭარბებით შესრულება თვის, ხოლო შემდეგ წლის გეგმების ვადამდე განაღდების კანონზომიერი პირობაა. ეს კარგად იციან მათ და ცდილობენ მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრონ თვითეული სამუშაო დღე.

• • •

სურათებზე: ზემოთ — თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე მუშა თ. ფანცულაია, ქვემოთ — თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის" დამხარისხებლები ე. მოვსესიანი (მარცხნივ) და ც. ბიაშვილი. მათი დღიური დავალების მაჩვენებელი 120 პროცენტია.

ფოტო მ. შოშიაშვილისა და გ. გოგოხიასი.

## ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე აბდულა იაფტალი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 18 იანვარს კრემლში მიიღო ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე აბდულა იაფტალი. იგი მეთაურობს ავღანეთის მთავრობის დელეგაციას მოსკოვის მოლაპარაკებაში საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირისა და ავღანეთის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასთან.

საუბრის დროს, რომელმაც გულითადობის, მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, აბდულა იაფტალიმ ა. ნ. კოსიგინს გადასცა ავღანეთის პრემიერ-მინისტრის ნურ აჰმედ ეთემადის პირადი წერილი. (საქინფორმი).

## დარბაზობა გ. ჯავახიშვილთან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა 18 იანვარს მიიღო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მეცნიერული და ტექნიკური კვლევის კოორდინაციის მუდმივი კომისიის XIV სხდომის მონაწილე დელეგაციათა ხელმძღვანელები. სხდომა თბილისში მიმდინარეობს.

დარბაზობას ესწრებოდნენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციათა ხელმძღვანელები: ბულგარეთისა — ე. ბელომიჟოვი, უნგრეთისა — რ. კოლოში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ი. ჰემერლინგი, პოლონეთისა — ე. მეტერა, რუმინეთისა — ნ. სირბუ, სსრ კავშირისა — მ. გვიშიანი, ჩეხოსლოვაკიისა — ა. მრაზეკი და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა — ი. ვოგელნიკი. მათთან ერთად იყვნენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მდივნის მოადგილე გ. ემერიხი, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამდივნოს მეცნიერული და ტექნიკური კვლევის კოორდინაციის განყოფილების გამგე ნ. ბოგოროდიცკი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე გ. მიქელაძე.

გ. ჯავახიშვილმა სტუმრებს გააცნო საქართველოს სახალხო მეურნეობის მთავარი მიმართულებანი, რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარება. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა საქართველო, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკა, დიდი ოქტომბრის პირმშო, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშძლე იდეების, კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითია.

გ. ჯავახიშვილი შეეხო მეცნიერების როლს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი საზოგადოების საწარმოო ძალთა მძლავრი ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართო დანერგვას წარმოების პრაქტიკაში.

გ. ჯავახიშვილსა და დელეგაციათა მეთაურებს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მეცნიერული და ტექნიკური კვლევის კოორდინაციის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მ. გვიშიანმა კოლეგების სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს სსრ მთავრობას კომისიის სხდომის ნაყოფიერი მუშაობის ყველა პირობის შექმნისათვის. (საქინფორმი).

## თბილისიდან გაემგზავრა ბულგარეთის დელეგაცია

18 იანვარს თბილისიდან გაემგზავრა ბულგარეთის დელეგაცია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. პოპოვის მეთაურობით, რომელიც ორ დღეს იყო სტუმრად ჩვენს რესპუბლიკაში.

აეროდრომზე ბულგარელი ამხანაგები გააცილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ჩოგოვაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარემ გ. მიქელაძემ, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, საქართველოს სსრ აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა რ. დვალმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. ბუაჩიძემ.

— სინანულით ვტოვებთ სტუმართმოყვარე საქართველოს, — თქვა წასვლის წინ ამხ. ი. პოპოვმა, მაგრამ გულის სიღრმეში თითოეული ჩვენთაგანი ძვირფას შარგალიტივით შეინახავს მოგონებებს იმ სიყვარულზე, სიმპათიასა და მეგობრობაზე, რომლითაც ქართველი ხალხი ბულგარელ ხალხს ეკიდება. (საქინფორმი).

## ყრილობა დამთავრდა

17 იანვარს მოსკოვში ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში მუშაობა დაამთავრა კულტურის მუშაკთა პროფკავშირის VII ყრილობამ. ყრილობის საბოლოო სხდომაზე მისმა მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ჩვენი ქვეყნის კულტურის მუშაკებისადმი. ყრილობამ პროტესტი გამოთქვა ვიეტნამში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიისა და საბერძნეთში სამხედრო-ფაშისტური ხუნტის ტერორის წინააღმდეგ.

ყრილობამ აირჩია პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოები და სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობის დელეგატები. პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია მ. ვ. პაშკოვი. (საქინფორმის კორ.).

ჩვენი დიდი სამშობლო

# ხუთწლედი — ვადამდე

### კონვეიერზეა ახალი მანქანა

ბათუმი. (საქ. კორ.). გასული წელი დიდი წარმატებით აღინიშნა ბათუმის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ. აქ აითვისეს ახალი სამტონიანი ელექტროურიკის სერიული გამოშვება და გეგმის გადამეტებით დაამზადეს 15 ცალი ასეთი ურიკა.

ქარხანამ ხუთწლედის მე-3 წელი წარმატებით დაიწყო. გამოცდა გაიარა აქ ათვისებულმა ახალმა ხუთტონიანმა ელექტროურიკამ. გამოცდა წარმატებით დამთავრდა, მალე ქარხნის კოლექტივი შეუდგება ასეთი სახის მანქანების სერიულ წარმოებას.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის მარკით ელექტროურიკები იგზავნება მსოფლიოს 15 ქვეყანაში, მათ შორის აფრიკის ქვეყნებისათვის უშვებენ ტროპიკული ტიპის მანქანებს.

წელს ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა 250 ცალით მეტ ელექტროურიკასა და ელექტროსაწევარს გამოუშვებს, ვიდრე შარშან.

## გეგმა შესრულებულია

საიუბილეო წლის შედეგები ცნობილია. ჩვენმა კოლმეურნეებმა შესანიშნავი შრომით ისახელეს თავი, წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი. გადაჭარბებით შევასრულეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები.

ამ წარმატებების შემდეგ, ხუთწლედის მესამე წლის პირველ დღეებიდან დავიწყეთ ზრუნვა მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმების შესასრულებლად.

ჩვენი სიმდიდრის წყაროა ბაღ-ვენახები, მინდვრები და მეცხოველეობის ფერმები. საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვა აგროვადებში და მაღალხარისხოვნად ვაწარმოეთ. ბაღვენახებში საშემოდგომო და ზამთრის სამუშაოები დროზე დავამთავრეთ. ახლა ვენახებში სიმეჩხრის წინააღმდეგ ვიბრძვით.

ზამთარში დიდი საზრუნავი აქვთ მეცხოველეებს. ისინი დროულად მოემზადნენ პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის. ბინებთან მიტანილია უხვში საკვები, სილოსი და საფურაჟე მარცვლეული, მოეწყო მწვანე კონვეიერები, დათბუნებულია ბინები და ყველა ბრიგადა დაკომპლექტდა გამოცდილი მწყემსებით.

ჩვენი მეცხვარეები ცხვრის დოლისათვის უკვე მზად არიან. დასადოლებელია 7.700 სული დედაცხვარი. მეცხვარეებმა ვალდებულება იკისრეს მიიღონ 7.700 სული ბატკანი. ნამატის მიღებისა და შენარჩუნებისათვის ყველა პირობაა შექმნილი. ბრიგადებში მოწყობილია კარაკნები და საბატკნეები. პირობა უთუოდ შესრულდება.

წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ნაცვლად 1.000 კილოგრამისა 1.200 კილოგრამი რძე უნდა მივიღოთ. ვალდებულების შესასრულებლად მეძროხეებმა წარმატებით დაიწყეს შრომა. მეორე ბრიგადაში დამონტაჟდა ელექტროსაწველი აგრეგატი, რამაც შრომა გააიოლა. ასეთივე დანადგარები სხვა ბრიგადებშიც დამონტაჟდება. პირველ კვარტალში სახელმწიფოს უნდა მივყიდოთ 66 ტონა რძე. ეს დავალება უკვე განაღდებულია. სამშობლოს მივცემთ 70 ტონა რძე. გარდა ამისა, სახელმწიფოს მივყიდეთ 40 ტონა ხორცი, პირველი კვარტალის გეგმა კი 37 ტონას ითვალისწინებდა.

ბოდბისხეველი კოლმეურნეების გადაწყვეტილებაა მიმდინარე წლის გეგმები 7 ნოემბრისათვის შეასრულონ, ხოლო ხუთწლედისა — ოთხ წელიწადში!

ბ. გელაშვილი,
სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## საბჭოთა მთავრობის განცხადება

### კამბოჯის წინააღმდეგ პროვოკაციების გამო

ამ დღეებში სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განუცხადოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ დიდად შეშფოთებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მდგომარეობის შემდგომი გამწვავების გამო. ამ რაიონში დაძაბულობის ზრდის წყაროა ომი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა ატეხა ვიეტნამში, ამერიკის მთავრობის ახლანდელი კურსი, რომლის მიზანია ამ ომის შემდგომი ინტენსიფიკაცია და მისი მასშტაბის გაფართოება.

განცხადებაში ყურადღება ეთმობა მტრულ კამპანიას, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს გააჩაღეს შეერთებულ შტატებში კამბოჯისა და ლაოსის ნეიტრალურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და რომლის მიზანი ის არის, რომ მონაჭორებით, თითქოს ამ სახელმწიფოთა ტერიტორიებს იყენებდნენ ვიეტნამის პატრიოტული ძალები, გაამართლონ სამხედრო მოქმედების გადატანა კამბოჯისა და ლაოსის ტერიტორიაზე, რასაც ახლა ამზადებენ.

საქინფორმის 1967 წლის 11 დეკემბრის განცხადებაში აღნიშნული იყო, თუ რაოდენ საშიში ხასიათისაა ეს კამპანია, რომელსაც გადაჭრით გმობენ კამბოჯის სახელმწიფო და მისი მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები საკადრის პასუხს გასცემენ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ცდილობს კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, და ამერიკის შეერთებულ შტატებს დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ასეთი მოქმედების შედეგებისათვის.

საბჭოთა კავშირი მუდამ იმის მომხრე იყო და არის, რომ კამბოჯა დამოუკიდებელი და ნეიტრალური სახელმწიფო დარჩეს ჟენევის შეთანხმებათა შესაბამისად, ხაზგასმულია განცხადებაში. ამიტომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით გმობს კამბოჯის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ყოველგვარ ცდებს, რა საბაბითაც უნდა მიმართავდნენ მას და გულგრილი ვერ დარჩება მოვლენათა ასეთი განვითარებისადმი.

საბჭოთა მთავრობამ ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დაადგა კამბოჯასთან ურთიერთობის გამწვავების გზას და პირდაპირ მუქარასაც კი არ ერიდება ამ ნეიტრალური სახელმწიფოს მიმართ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კამბოჯის მთავრობამ უკანასკნელ წლებში გვიჩვენა, რომ ყველაზე თანამიმდევრულად იცავს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში.

სსრ კავშირის მთავრობა იმით ხელმძღვანელობს, ნათქვამია განცხადებაში, რომ არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება უკარნახოს კამბოჯას, თუ რა ურთიერთობა დაამყაროს სხვა ქვეყნებთან როგორც ნეიტრალურმა სახელმწიფომ, რომელიც ზრუნავს თავის დამოუკიდებლობისა და თავისი საზღვრების უშიშროებისათვის.

განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გამოიჩენს თავდაჭერილობას და პატივს სცემს კამბოჯის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, ამ სახელმწიფოს ნეიტრალურ სტატუსს.

(საქინფორმი).

## პირველი ნარდგენისთანავე

კარგად დაიწყო ახალი წელი ქარხანა „თბილხელსაწყოს" კოლექტივმა. გამოშვებულია უნიფიცირებული მაგნიტური ტახომეტრის პირველი სერიული პარტია. ხელსაწყო დაამუშავეს ტახომეტრიის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ქართველმა კონსტრუქტორებმა. მაგნიტურ ტახომეტრს ფართოდ გამოიყენებენ მანქანათსამშენებლო, ხელსაწყოთსამშენებლო საწარმოებში. წელს გამოშვებული იქნება 30 ათასზე მეტი ასეთი ხელსაწყო.

წელს ქარხნის პროდუქციის საერთო მოცულობა შარშანდელთან შედარებით ერთნახევარჯერ გაიზრდება.

(საქინფორმი).

### ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ტ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი ამხ. ვარლამ ტარასის-ძე ჯაფარიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1968 წლის 18 იანვარი.

### ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ე. ტაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის პროკურორი ამხ. არონ ერმილეს-ძე ტაკიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1968 წლის 18 იანვარი.

### ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ს. ა. თოდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში და ქართულ საბჭოთა პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ონის რაიონული გაზეთის „განთიადის" რედაქტორი ამხ. სეფე ანტონის-ძე თოდაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1968 წლის 18 იანვარი.

# მეურნეობას — გონივრული გამღოლა

**ტრიბუნაზეა** სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ზირაქაძე.

— ყველამ იცის, შარშან მეტისმეტად ჭირვეული ამინდები იყო მევენახეობისათვის. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, თუ ვაზს მოვლასა და პატრონობას არ დააკლებ, გარჯას უოველთვის დააფასებს...

...ვადამდე და გადამეტებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხილის, აბრეშუმის პარკის, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალებები.

მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. კობოძემ და კონფერენციის დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში ფართო ადგილი დაუთმეს ვაზის გაშენების, მოვლა-დამუშავების...

...ცენტი იმას ნიშნავს, რომ საერთოდ რაიონში ზვრების ფართობი 90 ჰექტარით შემცირდა. მანვე მკაცრად გააკრიტიკა ობჩის ორჯონიკიძის, დიმიტროვისა და მარქსის სახელობის კოლმეურნეობების, ვარციხის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები იმის გამო, რომ გასულ წელს სრულ...

...რო კონფერენციას ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა კ. გიორგაძემ. მან მოიყვანა ბრიგადებსა და ფერმებში შექმნილი პარტიული ჯგუფების ცოცხალი, ორგანიზატორული მუშაობის მაგალითები, ილაპარაკა კომუნისტების ავანგარდულ როლზე და იმაზე, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია ღრმად სწვდება ეკონომიკას, ყოველი ღონისძიების იბრძვის მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვისათვის. შარშან კოლმეურნეობაში გაბედულად გამოიყენეს ზრდის სტიმულატორები. ვაზის შეწამვლაზე ბორდოს ხსნართან ერთად გოგირდის შემცვლელი პრეპარატის გამოყენებამ ვენახები ნაცრით დაავადებისაგან იხსნა...

...ბის, პროდუქტიულობის ზრდის წლიური დავალებები.

სამრეწველო საწარმოების, ადგილობრივი საბჭოების მუშაობის, სოციალისტური მართლწესრიგის, სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში ვარციხის ლვინის ქარხნის დირექტორი კ. ჭოხონელიძე, წითელხევის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. გოცაძე, რაიონის სამრეწველო კომბინატის დირექტორი დ. კვირიკაძე, რაისაბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ა. ფულარიანი, რაიონის პროკურორი ი. გოგატიშვილი.

აღინიშნა, რომ რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა სასახე...

...

# წყალი, მიწა და მოსავალი

**რწყვის სეზონისათვის დროულად მოვამზადოთ სარწყავი საკოლექტორო და სადრენაჟო ქსელები**

◆

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმის დადგენილება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მიწების გასარწყავების, ჭაობების დაშრობისა და არსებული გასარწყავებული და დაშრობილი ფართობების ეფექტურად გამოყენების საქმეში. ამ დადგენილებამ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის...

...1967 წლის რწყვის სეზონის შედეგების ანალიზის დროს გამოვლინებულ ...სერიოზული ნაკლოვანებები ...თვის, ახმეტის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შიდასამეურნეო და დამშრობი, საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელის წმენდის, სარწყავი მიწების გამოყენების, წყალსატუმბავი დანადგარების შეკეთებისა და გამოყენების, რწყვის აგროტექნიკური ვადების დაცვის საქმეში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და დასახა ნაკლოვანებათა გამოსწორების სათანადო ღონისძიებანი.

დიდი მნიშვნელობა აქვს შიდასამე...

...

...ხარჯთა აღრიცხვა. ამის შემდეგ საქართველოს სსრ მელიორაციის და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებულ ტრესტთან მექანიზმებით სამუშაოების შესასრულებლად დროზე უნდა გააფორმონ ხელშეკრულება. ამასთან მათვე უნდა გამოჰყონ მუშახელი საკმაო რაოდენობით.

...ნებით ისინი ყოველ ჰექტარზე მიიღებენ მაღალ და მყარ მოსავალს.

**ი. მესხიშვილი,**
**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარწყავი და სამელიორაციო მიწათმოქმედების სამმართველოს უფროსი ინჟინერ-მელიორატორი.**

# რუსთავი 20 წლისაა

**ქალაქის სიჭაბუკე**

...ახლა კულტურის სახალხო სახლია, სახელდახელოდ მოაწყვს ტრიბუნა. შეიკრიბა ხალხიც. ტრიბუნაზე ადიან პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, მშენებლები. იქაურობა მქუხარე ტაშმა მოიცვა, როცა წაიკითხეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება დაბა რუსთავის ქალაქად გამოცხადების შესახებ...

მას შემდეგ მხოლოდ 20 წელმა განვლო. ბევრს არც კი სჯერა, რომ ამ მოკლე დროში აშენდა ინდუსტრიალიზაციისა და ქიმიური მრეწველობის ცენტრი — რუსთავი.

ყოველდღიურად სასიხარულო ამბები მოდის რუსთავიდან: მეტალურგებმა აითვისეს ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის რთული ტექნოლოგია, მიღებულია კოლოიდური გოგირდი, ზაქარია ყაველაშვილის ბრიგადამ მონაწილეობა მიიღო საიუბილეო მეამილიონე ტონა ფოლადის ჩამოსხმაში, მუშაობენ მოვებით, უდოტაციოდ, მანქანათმშენებლები ერთ-ერთი პირველნი გადავიდნენ დაგეგმარებისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე, მებრძოლ ვიეტნამს გაეგზავნა სამტვირთო ცხავების ახალი პარტია, მშენებლებმა მიიღეს ლენინის ორდენი, ქიმიური კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მკვეთრად შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, ახლად გახსნილმა თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა პიესა — „100 წლის შემდეგ". რუსთაველმა მოცეკვავეებმა მოხიბლეს საზღვარგარეთელი მაყურებელი...

...მაგრამ ზოგს მაინც დავასახელებთ. როცა ქართული მეტალურგიის შექმნასა და განვითარებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ ვახსენოთ სოციალისტური შრომის გმირები ა. ფანცულაია, ვ. კობერიძე და ა. ძამაშვილი ანდა საყოველთაოდ აღიარებული მეტალურგები შ. კუხალეიშვილი, გ. სიგუა, ვ. ვიბიბერია, გრ. ბერეკაშვილი, ზ. ყაველაშვილი, ი. ტაბატაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. სებისკვერაძე, მ. სპანდერაშვილი, გ. მაღლაფერიძე, ლენინური პრემიის ლაურეატი პ. წერეთელი და მრავალი სხვა.

როცა რუსთავის ისტორიას ვახსენებთ, აუცილებლად უნდა მოვიგონოთ 1950 წლის 27 აპრილი, როცა საზეიმო ვითარებაში მიღებულ იქნა პირველი ქართული ფოლადი. მაშინ მხოლოდ ერთი ღუმელი მუშაობდა. ახლა კი რვა ღუმელი გუგუნებს და ადნობს რუსთავის მარკის ფოლადს...

...ნა ქარხნის დირექტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ს. შარაძენიძემ. ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებთან ერთად მისი უშუალო მონაწილეობით ქარხანაში მრავალი სხვა სიახლეც დაინერგა. გარკვეული წვლილი მიუძღვით ქარხნის განვითარების საქმეში საწარმოს ყოფილ პარტიული კომიტეტის მდივანს, ამჟამად პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ლ. ხარბედიას, მთავარ ინჟინერს ო. სულაძეს, მთავარი ინჟინრის მოადგილეებს გ. ქურდიანსა და შ. ანთელიძეს, საამქროთა უფროსებს შ. ღიბრაძეს, ბ. ხასლავსკის, ო. ხოფერიას, ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს გ. ბაქრაძეს და მრავალ სხვას.

რუსთავს კანონზომიერად უწოდებენ ძმობისა და მეგობრობის ქალაქს. ამას თავისი გამართლება აქვს. აქ ცხოვრობენ და შრომითს საქმიანობას ეწევიან 40 ეროვნების წარმომადგენლები...

...დუქციასაც, როგორიც არის კაპროლაქტამი. ერთი შეხედვით იგი უბრალო თეთრი ბრჭყვიალა კრისტალია, მაგრამ აბა გავყვეთ მის შემდგომ გზას, მაშინ ნათლად დავინახავთ, რა „სასწაულებთან" გვაქვს საქმე. კაპროლაქტამისაგან ამზადებენ ძვირფას ტანსაცმელს, ავტოსაბურავებს, მრავალ დეტალს, რომელიც ცვლის ლითონს, ალუმინს, რკინას.

როცა რუსთავში კაპროლაქტამის მიღების პრობლემებზე მუშაობდნენ, აქვე იწყოდნენ დიდი ქიმიის მეორე ფლაგმანის — სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობას. სწორედ ამ ქარხანაში ჰპოვებს გამოყენებას კაპროლაქტამის კრისტალი, როგორც ძირითადი ნედლეული იშვიათი აბრეშუმის ძაფის მისაღებად.

**ამ**ჟამინდელი ქარხანა თავისი მასშტაბით ვერ გაუთანაბრდება მეტალურგიულ და ქიმიურ ქარხნებს, მაგრამ მასაც ბევრი რამ...

...წინაშე დგანან. მიმდინარე ხუთწლედში მათ უნდა უზრუნველყონ აზოტიანი სასუქების ქარხნის მეორე რიგის მშენებლობის დამთავრება, აგრეთვე დიდი მასშტაბის სამუშაოები უნდა აწარმოონ მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუქციაზე, ხრამ-რუსთავის წყალსადენზე, ბინათმშენებლობასა და ქალაქ ტაშკენტის ახალმშენებლობებზე.

რუსთავის მშრომელები ზრუნავენ მომავლის გეგმებსა და პერსპექტივებზე. ეს გეგმები და პერსპექტივები ითვალისწინებენ თუჯისა და ფოლადის, ნავლინისა და მინერალური სასუქების, კაპროლაქტამისა და აბრეშუმის ძაფის, ცემენტისა და ამწემანქანების, სამშენებლო მასალებისა და სხვა პროდუქციის წარმოების შემდგომ მკვეთრ ზრდას.

ქალაქში უნდა აშენდეს ქიმიური რეაქტორების ქარხანა და სხვა საწარმოები. სამშენებლო მასალების წარმოების გაზრდის მიზნით გათვალისწინებულია ცემენტის ქარხანაში მწყობრში ჩადგეს მე-4 ტექნოლოგიური ხაზი იმ ანგარიშით, რომ 1970 წლისათვის ქარხანას საშუალება ექნეს აწარმოოს ერთ მილიონ ტონამდე ცემენტი და ამის ხარჯზე აშენდეს რკინაბეტონის ნაწარმის, მაღალი გამძლეობის რკინაბეტონის მილებისა და აზბოცემენტის მილების ქარხნები.

გასაფართოებელი და ახლად ასაგები ქარხნების მშენებლობა ნორმალურად რომ წარიმართოს, საჭიროა აშენდეს 150.000 კილო...

...

...არ შეუწყვეტიათ ფიქრი. და აი ომის მძიმე პირობებში გამოიტანეს დადგენილება აშენებულიყო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. რუსთავში მოვიდნენ ჯარისკაცის ფარაჯებიანი პირველი მშენებლები და ბარი დაჰკრეს უკაცრიელ ველს.

რუსთავის წარსულიდან ორი მთავარი მომენტია აღსანიშნავი. მაშინ, როცა მშენებლები მეტალურგიული ქარხნის საამქროთა კორპუსების აგებაზე მუშაობდნენ, ათასობით ქართველი ახალგაზრდა რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში ითვისებდა პროფესიას, იქმნებოდა მომავალი კადრები მეტალურგიული ქარხნისათვის. ქართველი ახალგაზრდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ...



**რუსთავი.** 12-15 წლის წინათ აქ უკაცრიელი ველი იყო. ახლა კი შესანიშნავი საცხოვრებელი კვარტალებია გაშენებული. ეს პროსპექტი ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს, ხოლო ამ ლამაზ შენობებში მეტალურგები ცხოვრობენ.

ფოტო ს. კილაძისა.

# მინერალური სასუქები — საკოლმეურნეო მინდვრებს

**რუსთავი.** (საკ. კორ.). აზოტოვანი სასუქების ქარხანაში დიდი შრომითი აღმავლობაა. მიმდინარე ხუთწლედის მესამე წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას ქართველი ქიმიკოსები აქედანვე უყრიან საფუძველს. ახალი წლის პირველი პროდუქცია — ნატრიუმის გვარჯილა და ამონიუმის სულფატი უკვე გაიგზავნა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებსა და შუა აზიაში.

## შრომობენ მემონტაჟეები

**რუსთავი.** (საკ. კორ.). მიმდინარე სამეურნეო წელი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაიწყო საქელექტრომონტაჟის რუსთავის სამმართველოს კოლექტივმა. იგი ფართო მასშტაბის სამუშაოებს ახორციელებს ლითონკონსტრუქციების ქარხანაში, მილსაადიდვო საამქროში, საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და სხვა ობიექტებზე.

განსაკუთრებით მაღალ წარმატებებს აღწევენ ის უბნები, რომლებსაც შ. კახიანი და ვ. კულიკოვი ხელმძღვანელობენ. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ვ. დალაქიშვილისა და ი. მალკინის ბრიგადები.

# საყოფაცხოვრებო სამსახურს — კვალიფიციური კადრები

**მოსახლეობის** საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარება ყოველთვის პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრშია. ამ ბოლო წლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად. 1963 წელთან შედარებით 1967 წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 1,6-ჯერ გაიზარდა, ხოლო საწარმოთა ქსელი გაფართოვდა 2.300 ერთეულით.

უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებენ აგრეთვე საყოფაცხოვრებო სამსახურის კვალიფიციური კადრების მომზადებას.

16 იანვარს გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროფესიულ-ტექნიკური...

...ბის გაუმჯობესებისა და გაფართოების საკითხს. თათბირი მოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა.

შესავალი სიტყვით თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჩიხლაძემ.

მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად საყოფაცხოვრებო სამსახურის კვალიფიციურ მუშაკთა მომზადების...

ინფორმაციები, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება, გააკეთეს აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. აგაევმა, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. აგასარიანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. აბულაძემ, სომხე...

საყოფაცხოვრებო მომსახურების კვალიფიციურ მუშაკთა მომზადების გაუმჯობესებისა და გაფართოების ამოცანათა განხილვაში მონაწილეობდნენ ბაქოს საყოფაცხოვრებო მომსახურების № 2 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი კ. ანტონოვა, ერევნის № 5 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე გ. ბადალიანი, ბაქოს № 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი დ. დადაშევი, ბაქოს № 5 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი კ. ორუჯევი, ქუთაისის № 33 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი გ. მაჩიტიძე და თბილისის № 54 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დი...

# გაზეთების ფურცლებზე

**სალიბაური-აშშ**

სალიბაურის ჩაის ფაბრიკამ გაგზავნა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის განკუთვნილი 7 ტონა უმაღლესი ხარისხის ქართული ჩაი. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენებური ჩაი ოკეანეს გაღმა იგზავნება.

სალიბაურელებმა შარშან საიუბილეო წელს თავიანთი ნახელავი მიაწოდეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. კოლექტივმა მომხმარებელს მიაწოდა აგრეთვე 500 ტონა შავი ბაიხაო ჩაი.

ახლა აქ მომავალი სეზონისათვის ემზადებიან. ნედლეულის საამქროში მონტაჟდება ორი ახალი აპარატი, რომელიც ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა დაამზადეს.

**770-გრამიანი ფორთოხალი**

**ყველა** გააკვირვა ახალშენის საფუთავ ქარხანაში მოტანილმა ფორთოხლის იშვიათმა ეგზემპლარმა, იგი 770-გრამს იწონის. მოკრეფილია ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის პირველი აგროგანყოფილების პირველი ბრი...

...ზოგადოების ბათუმის რადიოკლუბთან მუშაობს რადისტ-ტელეგრაფისტთა კურსები, სადაც ამზადებენ მეკავშირეებს საქართველოს საზღვაო სანაოსნოსათვის. მეცადინეობა ექვსთვიანია. კურსებს ხე-

...ლმძღვანელობს პედაგოგი გ. სიდორენკო. აქტიურ მსმენელთა შორის არიან ქ. ბეგიაშვილი, ც. ჯობავა, დ. ინწკირველი და ქ. კვაცბა.

გაზეთი „საბჭოთა აჭარა".

**მოუსვენარი გონების ადამიანები**

**ტყვარჩელში** ახალბედას უწოდებენ VIII შახტს. იგი მხოლოდ ახლა შლის ფრთებს. მაგრამ შახტის კოლექტივს ბევრი რაციონალიზატორი ჰყავს. მათ მოუსვენარი გონების ადამიანებს უწოდებენ. აი ორი მათგანი:

მერვე შახტის მარქშეიდერის გ. ელტოვის წინადადების დანერგვა წარმოებას წელიწადში აძლევს 8 ათას ტონა ქვანახშირს გეგმის გადამეტებით.

მიწისქვეშა კამერაში, სადაც მაღალი ტემპერატურაა, რაციონალიზატორ გ. კაპანაძის წინადადებით ხდება ტემპერატურის რეგულირება. გ. კაპანაძის წინადადების დანერგვა წელიწადში 8 ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა.

...

**რადიოსტთა კურსები**

...

# საზღვარგარეთის ცხოვრება

## ჩვენს მეგობრებთან

### ბულგარეთის მანქანათმშენებლობა

სოფია. ბულგარეთის მანქანათმშენებლობას 177 საწარმო აქვს. მეხუთე ხუთწლედის დამლევისათვის აშენდება 63 ახალი მანქანათსაშენებელი ქარხანა, რომელთაგან 14 მწყობრში წელსვე ჩადგება. 70-ზე მეტი არსებული საწარმო ძირეულად შეიცვლება და აღიჭურვება ავტომატური ნაკადური ხაზებით.

ბულგარეთის მანქანები და მოწყობილობა იგზავნება მსოფლიოს ათობით ქვეყანაში.

### მეცნიერული ცოდნა — მილიონებს

ბერლინი. 8 მილიონზე მეტი მშრომელი, ესე იგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის თითქმის ნახევარი, შარშან მონაწილეობდა საზოგადოება „ურანიას" ღონისძიებებში. ეს საზოგადოება ავრცელებს პოლიტიკურ და მეცნიერულ ცოდნას. მეცნიერები, პედაგოგები, პროპაგანდისტები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საწარმოებისა და კოოპერატივების, დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სასურველი სტუმრები არიან. მათ ერთი წლის განმავლობაში წაიკითხეს 220 ათასზე მეტი ლექცია. დიდი მუშაობა გასწია საზოგადოებამ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

### საბჭოთა არმიის 50 წლისთავის გამო

ულან-ბატორი. სახალხო მონღოლეთში ემზადებიან ფართოდ აღნიშნონ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ნახევარი საუკუნის იუბილე. მონღოლეთის სახალხო არმიის ქვეგანაყოფებსა და ნაწილებში იმართება კრებები, რომლებიც ეძღვნება საბჭოთა არმიის საბრძოლო გამოცდილებისა და ტრადიციების შესწავლის ერთთვიურს. ჯარისკაცების, სერჟანტებისა და ოფიცრების წინაშე გამოდიან ომის ვეტერანები, რომლებიც უამბობენ მათ იაპონელ მილიტარისტთა წინააღმდეგ მონღოლი და საბჭოთა მეომრების ერთად ბრძოლის შესახებ. ცენტრალურ გაზეთებში ყოველდღე იბეჭდება მასალები რუბრიკით „საბჭოთა არმიის 50 წლისთავის გამო". ქალაქებსა და სოფლებში გაიმართება კინოფესტივალები, რომლებიც მიეძღვნება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წლისთავს.

### საბჭოთა დელეგაცია პოლონეთში

ვარშავა. აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. სპირიდონოვი. დელეგაცია შეხვდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელებს. შეხვედრის მონაწილეებმა შეაჯამეს შარშანდელი წლის თანამშრომლობის გეგმის შესრულების შედეგები.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარემ, სეიმის მარშალმა ჩესლავ ვიცეხმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა შეხვედრის დროს, განაცხადა, რომ საზოგადოება გასულ წელს მუშაობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულობის ნიშნით. ორი საზოგადოების თანამშრომლობამ, აღნიშნა მან, სერიოზულად შეუწყო ხელი პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა კიდევ უფრო დაახლოებას.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ი. ვ. სპირიდონოვმა საზოგადოების მთავარ გამგეობასა და აქტივს მადლობა გადაუხადა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საქეთილდღეოდ საქმიანობისათვის.

სოციალისტურ ქვეყნებში

## შეწყდეს აგრესია ვიეტნამში

ამერიკის საზოგადოებრიობაში ფართოვდება მოძრაობა ვიეტნამის აგრესიის წინააღმდეგ.

ვაშინგტონში მუშაობა დაამთავრა ამერიკელ ქალთა კონგრესის ორგანიზაციის ყრილობამ. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბევრი საზოგადოებრივი, რელიგიური, ახალგაზრდული და სტუდენტური ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ამერიკის დედაქალაქში შეიკრიბნენ ამ ქვეყნის ყველა კუთხიდან. ყრილობაზე გამოსულმა დელეგატებმა დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკა. მათ ამერიკელ ქალებს მოუწოდეს გააჩაღონ აქტიური ბრძოლა ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის.

დემოკრატმა სენატორმა იუჯინ მაკარტიმ, რომელიც ცდილობს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე, სიტყვა წარმოთქვა სტანფორდის უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებაზე და მკვახედ გააკრიტიკა ამერიკის მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკა. მან განაცხადა, რომ ვიეტნამში ომის გაგრძელების გამართლება არ შეიძლება არც მორალურად, არც ეკონომიურად, არც სამხედრო, არც პოლიტიკური თვალსაზრისით. სენატორმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უნდა ცნოს განთავისუფლების ეროვნული ფრონტი, დაიწყოს მოლაპარაკება და თანდათანობით გაიყვანოს თავისი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან. მან ამერიკელ ახალგაზრდობას მოუწოდა გააქტიუროს საპროტესტო გამოსვლები ვიეტნამის ომის წინააღმდეგ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის შეწყვეტისა და ვიეტნამის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესახებ წინადადება კვლავ წამოაყენა სენატორმა რობერტ კენედიმ.

რესპუბლიკელმა სენატორმა ჯორჯ აიკენმა ამერიკის მთავრობას მოსთხოვა შეწყვიტოს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა, რაც პირველი ნაბიჯი იქნება ვიეტნამის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე მოლაპარაკების დასაწყებად. როგორც აიკენმა თქვა, ის პირობები, რომლებსაც ვაშინგტონი აყენებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის შეწყვეტისათვის, არსებითად „ულტიმატუმური მოთხოვნებია" ჩრდილოეთ ვიეტნამის მიმართ.

მიჩიგანის შტატის გუბერნატორმა რომნიმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გაიყვანონ უცხოეთის ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან და გააუქმონ სამხედრო ბაზები მის ტერიტორიაზე. ქალაქ კინეში (ნიუ-ჰემპშირის შტატი) მან განაცხადა, რომ სამხედრო კონფლიქტი სამხრეთ ვიეტნამში უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს განთავისუფლების ეროვნული ფრონტი. (საკდესი).

### კანადელი ექიმის მოწმობა

ოტავა, 18 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამიდან დაბრუნებულმა კანადელმა ექიმმა ა. ვენემამ განაცხადა, რომ იქ დახმარება გაუწია დაახლოებით ოც სამოქალაქო პაციენტს, რომლებიც ამერიკის საბრძოლო გაზებით იყვნენ მოწამლული. ოთხი მათგანი — ერთი ქალი და სამი ბავშვი — დაიღუპა.

ვენემამ ეს განაცხადა გუშინ ტორონტოს აეროპორტში საიგონიდან დაბრუნების შემდეგ. იგი მუშაობდა სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ ჰოსპიტალში სამი წლის მანძილზე.

### მხარს უჭერენ

სტოკჰოლმი, 18 იანვარი. (საკდესი). პროფკავშირულმა გაერთიანებამ „შვეციის მუშათა ცენტრალურმა ორგანიზაციამ" დღეს გამოაქვეყნა მოწოდება, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან მოითხოვს შეწყვიტოს ვიეტნამის დაბომბვა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: სახალხო თავდაცვის რაზმის მებრძოლები თხანხოას პროვინციაში. მეომრები მზად არიან მძლავრი ცეცხლით შეხვდნენ ჰაერის ამერიკელ მეკობრეთა გამოჩენას.

ფოტო ვია-საკდესისა.

## ვაშინგტონი უკმაყოფილოა

ნიუ-იორკი, 17 იანვარი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისის გადაწყვეტილებამ გაიყვანოს თავისი ჯარები სუეცის აღმოსავლეთით მდებარე რაიონიდან 1971 წლის დამლევამდე და იმან, რომ ინგლისმა უარი თქვა შეისყიდოს 50 რეაქტიული ამერიკული თვითმფრინავი. სახელმწიფო დეპარტამენტმა და თავდაცვის სამინისტრომ „სერიოზული დანანება და იმედგაცრუება" გამოთქვეს ამის გამო.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ ინგლისის უარი, შეისყიდოს ამერიკის თვითმფრინავი „ფ-111", ლახვარს სცემს ამერიკის იარაღის გაყიდვის პროგრამას. როგორც გაზეთი წერს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს მოსთხოვოს ლონდონს 130-150 მილიონი დოლარი „ზარალის ანაზღაურება", რაც შეერთებულ შტატებს მოუვა ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენთა შეძენის კონტრაქტის დარღვევის გამო.

„ეს კიდევ ერთი მელანქოლიური თავია ბრიტანეთის იმპერიის ლიკვიდაციის წიგნში", — ასე ახასიათებს დღეს გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი" ინგლისის მთავრობის ახალ ღონისძიებებს ხარჯების შემცირების დარგში.

პრესაში გაჩნდა პირველი ცნობები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს შეავსოს სინგაპურიდან და სპარსეთის ყურის რაიონიდან ინგლისის ჯარების გამოყვანის შედეგად შექმნილი „ვაკუუმი". ინგლისის გადაწყვეტილება, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსის" მიმომხილველი ჯ. რესტონი, „თითქმის უეჭველად... გაადიდებს ვაშინგტონის პასუხისმგებლობას ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებში". ამ რაიონებში ამერიკის სამხედრო ძლიერების განმტკიცების საჭიროებას უსვამს ხაზს აგრეთვე „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი".

დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა სენატში მენსფილდმა გუშინ ინტერვიუში განაცხადა, რომ, მისი აზრით, შეერთებული შტატები „იძულებული იქნება" შეავსოს „სამხედრო ვაკუუმი", რომელიც შეიქმნება, როცა ინგლისი გაიყვანს სუეცის აღმოსავლეთით განლაგებულ შეიარაღებულ ძალებს.

## ფინეთის პროგრესული ძალების წარმატება

ჰელსინკი, 17 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი მ. კოსოვი იუწყება:

15-16 იანვარს გაიმართა ფინეთის პრეზიდენტის არჩევნები (მორიგი ექვსი წლის ვადით პრეზიდენტის არჩევნების პირველი ეტაპი), რომელიც აღინიშნა იმ ძალების წარმატებით, ვინც მხარს უჭერს პრეზიდენტ უ. კ. კეკონენის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას და მოითხოვს ახლანდელი მთავრობის კოალიციის შენარჩუნებას, რომელშიც შედიან მემარცხენე პარტიებისა და ცენტრის პარტიის წარმომადგენლები.

ჩაიფუშა მემარჯვენეთა სპეკულაცია, რომლებიც იმედს ამყარებდნენ ეკონომიური სიძნელეებით გამოწვეული მოსახლეობის ნაწილის უკმაყოფილებაზე. საკადრისი პასუხი გასცეს აგრეთვე მათ ცდებს აეცდინათ ქვეყანა „პაასიკივი-კეკონენის საგარეოპოლიტიკური გზისათვის". ფართო საარჩევნო ბლოკის კანდიდატმა უ. კ. კეკონენმა მიიღო ხმათა დიდი უმრავლესობა (დაახლოებით 60 პროცენტი იმ ამომრჩევლებისა, რომლებიც კენჭისყრაში მონაწილეობდნენ).

თუ შევადარებთ წინასწარ მონაცემებს 1962 წლის ამრჩევთა არჩევნების შედეგებს, უწინარეს ყოვლისა შეიმჩნევა ამომრჩეველთა აქტივობის რამდენადმე შემცირება. ახლა არჩევნებში მონაწილეობდა იმათი 69 პროცენტი, ვისაც ხმის უფლება აქვს, ნაცვლად 1962 წლის 81,5 პროცენტისა. ბევრ ამომრჩეველს მონაწილეობა არ მიუღია, რადგან უ. კეკონენის ხელახლა არჩევა გადაწყვეტილ საქმედ მიაჩნდა.

ფინელი ხალხის დემოკრატიულმა კავშირმა ძირითადად შეინარჩუნა თავისი პოზიციები. მან მიიღო 19,6 პროცენტი. (პრეზიდენტის წინა არჩევნებში ჰქონდა 20,5 პროცენტი). მუშათა და წვრილ მიწათმფლობელთა სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა ხმების 2,6 პროცენტი მიიღო (წინათ ჰქონდა 3). ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობა დაკარგეს სოციალ-დემოკრატებმა. საქმე ის არის, რომ მემარჯვენე ამომრჩევლებმა, რომლებიც წინათ ამ პარტიას უჭერდნენ მხარს, ახლა აშკარად მისცეს ხმა რეაქციული ძალების კანდიდატებს მ. ვირკუნენსა და ვ. ვენამოს. აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ პარტიის მომხრეთა ნაწილის უკმაყოფილება იმით, რომ ფინეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ არ დაასახელა თავისი პრეზიდენტობის კანდიდატი.

ახლანდელი მთავრობის კოალიციის მეოთხე პარტიამ — ცენტრის პარტიამ რამდენადმე გაადიდა ხმების რაოდენობა.

შედარებით მეტი აღმოჩნდა იმ ხმების რიცხვი, რომლებიც მისცეს პრეზიდენტობის კანდიდატს სოფლის პარტიისაგან ვ. ვენამოს. მან მიიღო 10,7 პროცენტი, ნაცვლად ერთი პროცენტისა, რომელიც 1966 წლის პარლამენტის არჩევნებში ჰქონდა მიღებული. როგორც ჩანს, ბევრი წამოეგო მისი დემაგოგიური პროპაგანდის ანკესს.

ხმების 17,4 პროცენტი მიიღო მემარჯვენე კოალიციური პარტიის კანდიდატმა მ. ვირკუნენმა. ეს მოწმობს, რომ სწორი იყო ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის პარტიის ხელმძღვანელთა გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ძალიან გააქტიურებდნენ საქმიანობას მემარჯვენე ძალები ფინეთში.

პრეზიდენტის არჩევნების მეორე ეტაპი გაიმართება 15 თებერვალს.

### შეთქმულნი სამართალში მისცეს

კაირო, 18 იანვარი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოქვეყნდა საბრალდებო დასკვნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის შტაბ-ბინის ხელში ჩაგდების ცდის საქმეზე, რაც დასახული ჰქონდათ 1967 წლის 27 აგვისტოს.

ბრალდება წაუყენეს 55 კაცს, კერძოდ მთავარ შვიდ ბრალდებულს. მათ შორის არიან ყოფილი სამხედრო მინისტრი შამს ბადრანი, არაბთა სოციალისტური კავშირის მდივნის ყოფილი თანაშემწე აბდულ ვაჰაბ რადვანი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დაზვერვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი მუჰამედ ნასრი, სამხედრო-საჰაერო ბაზის ყოფილი მეთაური ავიაციის პოლკოვნიკი აბდულ ჰალიმ ზაკი და სხვები.

ყველა მათ ბრალად ედებათ შექმნა სამხედრო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება, ძალით შეეცვალა ქვეყანაში არსებული მართვა-გამგეობის სისტემა.

ამ საქმეს გაარჩევს რევოლუციური ტრიბუნალი. მისი საგამომძიებლო განყოფილების ხელმძღვანელმა ალი ნურ ედ-დინმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ბრალდებანი, რომლებიც წარედგინა შვიდ მთავარ ბრალდებულს ამ საქმეზე, ითვალისწინებენ, თანახმად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კანონებისა, სიკვდილით დასჯას.

### საგანგაშო დღეები სიცილიაში

რომი, 17 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი იუწყება: მესამე დღეა სიცილიელები კვლავ შიშით მოელიან ახალ მიწისძვრებს. ბევრი მათგანი ავტომანქანებსა და კარვებში ცხოვრობს, რომლებიც მინდვრად გაუტანიათ, ზოგიერთი კი ღია ადგილებში, მინდვრებში, ქალაქის პარკებში.

გუშინ მიწა კვლავ იძროდა სიცილიელთა ფეხქვეშ. თითქოს აწინდი მიწისძვრა ხტიქის შეუთანხმოდ, თუ იტალიის მეტ ნაწილში და აღმოსავლეთ სიცილიაში კი დათბა, სამაგიეროდ დასავლეთის რაიონებში, რომლებიც მიწისძვრისაგან დაზარალდნენ, კვლავინდებურად ცივა, თოვლია.

შემაშფოთებელი ამბები მოვიდა ტრაპანის პროვინციის დაბა კამპორეალედან. მცხოვრებმა, რომლებიც ამ რაიონს ადევნებდნენ თვალყურს, განაცხადეს, რომ კამპორეალეს ცენტრიდან დაახლოებით ერთ კილომეტრზე წარმოიქმნა სამი კრატერი. მიდამოებში გუგუნის ისეთი ძლიერი ხმა ისმის, რომ ვერტმფრენებშიც კი იგრძნება. ჯერჯერობით გამოკვლეული არ არის, დროებითია ეს მოვლენა, თუ საქმე ახალი ვულკანის წარმოქმნას ეხება.

დაზარალებულ ქალაქებსა და სოფლებში მიმდინარეობს მაშველთა სამუშაოები. სახლების ნანგრევებიდან ამოჰყავთ ახალ-ახალი დაშავებულნი და დაღუპულნი. მსხვერპლთა რიცხვი „განუზღვრელად მატულობს". დაზარალებულ რაიონებს ეხმარება იტალიის მთელი მოსახლეობა. იტალიის რადიომ გამოაცხადა საერთო ეროვნული ხელმოწერა დაზარალებულთა დახმარების ფონდში. მიწისძვრის რაიონებში იგზავნება მედიკამენტები, სურსათი, ტანსაცმელი, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკმარისი არ არის. დღეს „უნიტამ" გააკრიტიკა ხელისუფალნი იმისათვის, რომ აგვიანებენ დახმარებას დაზარალებულთათვის. კატასტროფასთან დაკავშირებით საზღვარგარეთიდან მოდის დეპეშები, რომლებშიც გამოთქვამენ თანაგრძნობას და იუწყებიან, რომ გზავნიან მატერიალურ დახმარებას.

## ჯონსონის წერილი კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 18 იანვარი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ჯონსონმა კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე წაიკითხა ტრადიციული წერილი „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ". თავისი წერილი ჯონსონმა დაიწყო ვიეტნამის პრობლემის განხილვით, აღნიშნა, რომ ამერიკა „განუხრელად განაგრძობს" ახლანდელ პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ საჰაერო ომის შეწყვეტის საკითხი ჯონსონმა კვლავ დაუკავშირა ისეთ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება საშუალებას მისცემს შეერთებულ შტატებს ისარგებლოს თავისი აგრესიის ნაყოფით.

ჯონსონმა შემდეგ ხაზი გაუსვა, რომ ყოველ ღონეს იხმარენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად. როგორც მან განაცხადა, კონგრესის დასამტკიცებლად წარადგენს ფედერალური ბიუჯეტის პროექტს, რომლის გასავალი 10,4 მილიარდი დოლარით მეტი იქნება, ვიდრე 1967-68 საფინანსო წელს. ასეთი ნამატი მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია სამხედრო ხარჯების შემდგომი გადიდებით. როგორც ჟურნალისტებს აცნობეს მთავრობის წრეებში, პენტაგონს გამოეყოფა 79,7 მილიარდი დოლარი, აქედან 26 მილიარდამდე დოლარი მოხმარდება ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირ სამხედრო ხარჯებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ჯონსონმა კვლავ მოუწოდა კანონმდებლებს მოიწონონ მთავრობის წინადადება საშემოსავლო გადასახადის გადიდების შესახებ, რათა შეამცირონ ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც, მისი აზრით, მიმდინარე წელს შეადგენს 20 მილიარდამდე დოლარს.

პრეზიდენტის წერილის მეტი ნაწილი მიეძღვნა საშინაო პრობლემებს — უმუშევრობას, ზანგთა მღელვარებას, ფერმერთა მძიმე მდგომარეობას, დოლარის დაცვის ღონისძიებებს, დამნაშავეობის ზრდას.

### ეროვნული გმირის ხსოვნას

ბრაზავილი, 17 იანვარი. (საკდესი). კინშასის კონგოს საზოგადოებრიობა დღეს აღნიშნავს კონგოელი ხალხის ეროვნული გმირის პატრის ლუმუმბას მხეცური მკვლელობის 7 წლისთავს. ამ თარიღის აღსანიშნავად კონგოს დედაქალაქში გაიმართა საჯარო-სამგლოვიარო ცერემონია. ერთ-ერთ ასეთ ცერემონიაში, იუწყება კინშასის რადიო, მონაწილეობა მიიღეს კონგოს პრეზიდენტმა მობუტუმ და მთავრობის წევრებმა.

### ბრძოლა გრძელდება

დაკარი, 18 იანვარი. (საკდესი). გასული წლის დეკემბერში გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის რეგულარული არმიის ნაწილებმა ბრძოლებში დახოცეს პორტუგალიის კოლონიური არმიის 212 ჯარისკაცი და ოფიცერი. სალაზარელთა წინააღმდეგ გაფთრებული ბრძოლა გაჩაღდა „პორტუგალიის" გვინეის მთელ ტერიტორიაზე. ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ გვინეაში, აღნიშნულია აქ გავრცელებულ გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის კომუნიკეში 1967 წლის დეკემბრის საომარი მოქმედებების შესახებ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა პარტიზანთა დახმარებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მათ გაანადგურეს პორტუგალიელ ინტერვენტთა რამდენიმე გამაგრებული ბანაკი, დაანგრიეს ხიდები და გადასასვლელები, ხელთ იგდეს დიდძალი საომარი მასალა. კანშუნგოს რაიონში — ჩრდილო-აღმოსავლეთ გვინეაში გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის არმიის მებრძოლებმა ბრძოლის დროს ხელთ იგდეს ერთი ტანკი და ერთი საველე რადიოსადგური.

## მდგომარეობა იემენში

კაირო, 17 იანვარი. (საკდესი). რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ მონარქისტებისა და მათი უცხოელი დამქაშების წინააღმდეგ. მათ მოწინააღმდეგეს დაუხოცეს ბევრი ჯარისკაცი და ხელთ იგდეს დიდძალი ამერიკული იარაღი და აღჭურვილობა, განუცხადა ეგვიპტის გაზეთ „ალ-აჰრამის" კორესპონდენტს იემენის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ჰასან ალ-ამრიმ.

ჩვენი წარმატებანი მონარქისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებმაც მიზნად დაისახეს დაემხოთ რესპუბლიკური წესწყობილება, განაგრძო ალ-ამრიმ, მოწმობენ ამ წყობილების ძალას და იმას, რომ მას მხარს უჭერს იემენელი ხალხი. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ შეუბრალებლად ჩაახშობენ ყველა ცდას მონარქისტული ბანდებისას, რომლებსაც უცხოელი დაქირავებულები აქეზებენ იარაღით გაილაშქრონ იემენის არაბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

როგორც მენის სააგენტო იუწყება, სანიდან მოვიდა ცნობა, რომ სანის სამხრეთით კვლავ დამარცხდნენ მონარქისტული ჯარები. გუშინ მონარქისტებმა და უცხოელმა დაქირავებულებმა ბრძოლის ველზე დატოვეს 40 დახოცილი და დიდძალი აღჭურვილობა.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მონარქისტთა ცალკეული ჯგუფების ცდებს შეეღწიათ იემენის ჩრდილო-აღმოსავლეთის მთელ რიგ სოფლებში, ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, ამასთან დაკარგეს დაახლოებით 85 კაცი.

### საზარბაზნე ხორცის ახალი პარტია

კანბერა. 17 იანვარი. (საკდესი). დღეს სიდნეიდან მორიგ რეისში საიგონისაკენ გავიდა სამხედრო-სატრანსპორტო გემი „სიდნეი". ამ გემზე არის 300-ზე მეტი ავსტრალიელი ჯარისკაცი — საზარბაზნე ხორცის მორიგი პარტია ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ომისათვის.

ნატოს იმპერიალისტური ბლოკის მფარველობით, რომელიც ოცნებობს კიდევ ერთი სამხედრო ბაზა შეიძინოს, საბერძნეთის მონარქისტულ-ფაშისტური დიქტატურა ცდილობს სამხედრო პროვოკაციების გზით ფეხი მოიკიდოს კვიპროსზე. (გაზეთებიდან).



კარიკატურა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან" (გდრ). (საკდესის ფოტოქრონიკა).

## მონოპოლიები მხარს უჭერენ რასისტებს

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. (საკდესი). ამერიკის მონოპოლიები სულ უფრო ფართოდ იკიდებენ ფეხს სამხრეთ აფრიკაში, უგულებელყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის ეკონომიური ბოიკოტის შესახებ. პრესის ცნობები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ამერიკის კომპანიათა საქმიანობის შესახებ მოწმობს, რომ ფარისევლობაა ამერიკის მთავრობის მიერ აპარტეიდის პოლიტიკის დაგმობა.

სამხრეთ აფრიკის ბაზარი ამერიკის მონოპოლიებს უქმნის ხელსაყრელ შესაძლებლობებს კაპიტალის გამოსაყენებლად, აძლევს უაღრესად დიდ მოგებას.

გაზეთ „ლოს ანჯელეს ტაიმსის" მონაცემებით, ყოველწლიურად ამერიკის საავტომობილო კომპანიები აფართოებენ თავიანთი გავლენის სფეროს სამხრეთ აფრიკაში. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კაპიტალს აბანდებენ ისეთი საავტომობილო გიგანტები, როგორიცაა „ფორდ მოტორსი", „ჯენერალ მოტორს კორპორეიშნი" და „კრაისლერი", სამხრეთ აფრიკაში ყველაზე სწრაფად იკიდებენ ფეხს ამერიკის ნავთობის მონოპოლიები, უწინარეს ყოვლისა, „კალტექსი", რომელიც „სტანდარდ ოილ კომპანი ოფ კალიფორნიას" ეკუთვნის, და „ტექსაკო ინკორპორეიტედი". ახლა ამერიკის ნავთობის მონოპოლიები, რომლებმაც შეავიწროვეს დიდი ბრიტანეთი, კონტროლს უწევენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების ნახევარზე მეტს.

როგორც გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი" წერს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ახლა მოქმედებს 275 ამერიკული ფირმა, რომელთა საერთო კაპიტალური დაბანდება შეადგენს 750 მილიონ დოლარს. ამერიკის მონოპოლიები, გაზეთის მონაცემებით, სხვა ქვეყნებთან შედარებით მოგების უმაღლეს ნორმას იღებენ და უსწრებენ ინგლისსა და დასავლეთ გერმანიას.

სამხრეთ აფრიკიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდ ნაკადად მიედინება ნედლეული პროდუქტები, უპირველესად, ურანი, ბრილიანტი, მატყლი, შაქარი. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, იტყობინება იოჰანესბურგიდან „ლოს-ანჯელეს ტაიმსის" კორესპონდენტი, გაორკეცდა სავაჭრო ბრუნვა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ აფრიკას შორის. ახლა ამერიკის ექსპორტი ამ ქვეყანაში შეადგენს ნახევარ მილიარდამდე დოლარს წელიწადში.

„ლოს-ანჯელეს ტაიმსი" არ მალავს, რომ ამერიკის კაპიტალური დაბანდება ხელს უწყობს ეკონომიურ ბუმს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. „ამერიკის კაპიტალური დაბანდება და ვაჭრობა საშუალებას აძლევენ სამხრეთ აფრიკის ულტრარასისტულ მთავრობას უგულებელყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველი ბოიკოტი", — წერს გაზეთი.

## „მუნდო ობრერო": ესპანეთს ძირეული რეფორმები ესაჭიროება

პარიზი, 17 იანვარი. (საკდესი). პესეტის დევალვაცია და მთელი რიგი სხვა ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებიც მთავრობამ განახორციელა, კიდევ უფრო აძლიერებენ მთავრობისადმი ნდობის კრიზისს ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენებში. ამას წერს უკანასკნელ ნომერში გაზეთი „მუნდო ობრერო".

ესპანეთის საზოგადოებრიობა მოითხოვს მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას. ხედავენ რა ამ განწყობილებებს, ესპანეთის რეაქციული მმართველი წრეები ცდილობენ თავიანთი პოლიტიკა გაამართლონ „უმკაცრესი მომჭირნეობის" საჭიროებით.

ამის მაგალითად გაზეთს მოჰყავს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის კარერო ბლანკოს ამასწინანდელი გამოსვლა მადრიდის „პროფკავშირთა სახლში".

მთავრობა, ამტკიცებდა კარერო ბლანკო, ხაზს უსვამს მტკიცე გადაწყვეტილებას შეინარჩუნოს დასაქმებულობის მაღალი დონე. მაგრამ, აღნიშნავს „მუნდო ობრერო", ბლანკომ იქვე დასძინა, რომ ეს არ მოასწავებს საწარმოთა შტატების „სტაბილობას". სხვანაირად რომ ვთქვათ, ფრანკისტულმა რეჟიმმა „მწვანე ქუჩა" გაუხსნა მასობრივ დათხოვნებსა და მშრომელთა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას.

„სულ სხვანაირად ეკიდება მთავრობა ფინანსურ ოლიგარქიას, — წერს შემდეგ „მუნდო ობრერო". — მომჭირნეობის რაიმე ღონისძიება მონოპოლისტური კაპიტალის მიმართ არ არის მოსალოდნელი. რეჟიმი აშკარად იცავს გარკვეულ კლასობრივ ინტერესებს, მოძველებულ და რეაქციულ სისტემებს.

ამას ხედავენ არა მარტო დემოკრატიული ოპოზიციის ყველაზე მოწინავე ძალები, არამედ აგრეთვე ყველაზე სერიოზული მეთვალყურენი, რომლებსაც თვალსაჩინო სახელმწიფო პოსტები უკავიათ. ისინი მკაცრად აკრიტიკებენ სახელმწიფოში არსებულ სისტემას".

„მუნდო ობრერო" წერს: „სანამ არ განახორციელებენ ძირეულ და დემოკრატიულ აგრარულ რეფორმას, რომელიც ბოლოს მოუღებს ახლანდელ საზოგადოებრივ ურთიერთობას სოფლად, სანამ არ განახორციელებენ საფინანსო და საბიუჯეტო სისტემის რეფორმას და დემოკრატიული ხასიათის ნაციონალიზაციას, ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა არ შეიცვლება. მაგრამ ამისათვის საჭიროა დემოკრატია. ამისათვის საჭიროა ხალხის სუვერენიტეტის აღდგენა".

### რეპრესიები ესპანელ სტუდენტთა წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 17 იანვარი. (საკდესი). მადრიდში დაპატიმრებულია შვიდი სტუდენტი, რომელთაც მოელით სასამართლო წინა კვირაში მადრიდის უნივერსიტეტში მომხდარ „უწესრიგობაში მონაწილეობისათვის", იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ესპანეთის სააგენტო ეუროპა პრესს.

თითოეული ეს სტუდენტი დაჯარიმებულია 15 ათასი პესეტით (215 დოლარი).

ეუროპა პრესი აგრეთვე იუწყება, რომ გასული კვირის დამლევს დაპატიმრებული 20 სხვა სტუდენტი მიიყვანეს დაკითხვაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ეროვნულ ტრიბუნალში.

## რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

საზღვარგარეთის პრესა იუწყება, რომ მოსკოვს დაბრუნდნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი და ა. ნ. კოსიგინი, რომლებიც არაოფიციალური ვიზიტით იყვნენ პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

**დღევანდელ** გაზეთებში ბევრი მასალაა საპროტესტო მოძრაობის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ ვიეტნამში. აქვეყნებენ ცნობებს, რომ მასობრივი ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები და მიტინგები იმართება საფრანგეთში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში.

**იაპონიის** პრესა მთავარ ყურადღებას უთმობს იმას, რომ ახლო მომავალში განსაზღვრულია ამერიკის ატომური ხომალდების შესვლა სასებოს ნავსადგურში ავიამზიდ „ენტერპრაიზის" მეთაურობით. იუწყებიან, რომ სასებოში ჩავიდნენ მასობრივ ორგანიზაციათა, სტუდენტთა წარმომადგენელნი, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული გეგმების წინააღმდეგ. ხელისუფალნი ამ ნავსადგურში თავს უყრიან პოლიციის ძალებს. გაზეთი **„იომიური"** მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ სასებოში დაძაბული ვითარებაა. იაპონელი ხალხის მეტ ნაწილს, აღიარებს გაზეთი, არ მიაჩნია დამაჯერებლად ამერიკის შეერთებული შტატების განცხადება, რომ ხომალდები აპირებენ ნავსადგურში შესვლას, რათა „დაასვენონ მეზღვაურები".

ბევრ იაპონელს, განაგრძობს „იომიური", მიაჩნია, რომ ამ ხომალდების შესვლა სასებოში მოასწავებს ატომური იარაღის თანდათანობით შეტანას იაპონიაში და იაპონიის მონაწილეობას ვიეტნამის ომში. ამ თვალსაზრისით, დაასკვნის გაზეთი, ავიამზიდ „ენტერპრაიზის" ვიზიტი როდი შეუწყობს ხელს იაპონია-ამერიკის მეგობრობას. იაპონიის დემოკრატიული ორგანიზაციები ხაზს უსვამენ ამ ოპერაციის პროვოკაციულ ხასიათს.

**ლონდონის** გაზეთების წამყვანი თემაა პრემიერ-მინისტრ ვილსონის განცხადება თემთა პალატაში ინგლისის მთავრობის მიერ დასახული ხარჯების შემცირების შესახებ. ამ თემას ეძღვნება სარედაქციო სტატიები ყველა გაზეთში. ჭარბობს ის აზრი, რომ ამჟამად დაგეგმილი ხარჯების შემცირება მხოლოდ ერთ-ერთი ღონისძიებაა, რომელიც მთავრობამ უნდა იხმაროს, რათა თავი გაართვას გირვანქა სტერლინგის დევალვაციის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას. „გარდიანი" და „მორნინგ სტარი" აკრიტიკებენ სოციალურ ღონისძიებათათვის განკუთვნილი ხარჯების დასახულ შემცირებას ინგლისში.

**ამერიკის** გაზეთებში დიდი შეშფოთება გამოიწვია ინგლისის გადაწყვეტილებამ გაიყვანოს თავისი ჯარები სუეცის აღმოსავლეთით მდებარე რაიონიდან და აღარ შეისყიდოს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან 50 რეაქტიული თვითმფრინავი, რომელთა ღირებულება დაახლოებით ერთ მილიარდ დოლარს შეადგენს. **„ნიუ-იორკ ტაიმსის"** ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს, რომ პენტაგონში „სერიოზული იმედგაცრუება" გამოიწვია ინგლისის შეკვეთის გაუქმებამ, რაც „ლახვარს სცემს ამერიკის შეერთებული შტატების იარაღის საზღვარგარეთ გაყიდვის გეგმებს". კორესპონდენტი აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვას „დააჯარიმოს" ამის გამო ინგლისი 130-150 მილიონი დოლარით. „ნიუ-იორკ ტაიმსის" მიმომხილველი ჯეიმს რესტონი წერს, რომ ვაშინგტონი აპირებს „ინგლისის მიერ შორეულ აღმოსავლეთში დატოვებული ვაკუუმი შეავსოს" აზიაში ნატოს ტიპის სამხედრო კავშირის შექმნის გზით.

**როგორც** ფრანგული გაზეთის „ფიგაროს" ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, „ჯონსონის ადმინისტრაციის იმედგაცრუება ძალიან დიდია და ამიტომ ამას ვერ ფარავენ". ჯონსონი, განაგრძობს კორესპონდენტი, ვერ აპატიებს ვილსონს მის „უკიდურეს ეგოიზმს", რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს არ აძლევს საშუალებას თავიდან აიცილოს ახალი დამატებითი სიძნელენი.

**ამერიკის** გაზეთები იუწყებიან, რომ ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ნ. როკფელერმა შეიტანა პროექტი ბიუჯეტისა, რომელიც ითვალისწინებს ნიუ-იორკის შტატში გადასახადების გადიდებას 494 მილიონი დოლარით.

**ფინეთის** პრესის ყურადღების ცენტრშია პრეზიდენტის ამრჩევთა არჩევნების შედეგები. „კანსან უუტისეტი" და სხვა გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ „კეკონენის ბლოკმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა".

**გაზეთი** „გენერალ ანცაიგერი" იმოწმებს კანცლერ კიზინგერის გამოსვლას და წერს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა წინანდებურად გულმოდგინედ და მოთმინებით განახორციელებს ღონისძიებებს, რათა ინგლისი შეუერთდეს ევროპის „საერთო ბაზარს". (საკდესი).

# ჩვენს ჯამ-ჯაჯაში

გაზეთ „კომუნისტისა“ და საქართველოს კომკავშირის [illegible]

## მამაცთა გზით

[illegible] ... კომკავშირის პირველი ლაურეატის ნიკოლოზ ოსტროვსკის შემოქმედებითი ცხოვრების გაცნობა ქ. სოჭში, სადაც მან სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა.

ქ. სოჭის რკინიგზის სადგურზე საქართველოს მოსწავლეებს შეხვდნენ სოჭის პიონერ-მოსწავლეები და ნ. ოსტროვსკის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი პეტრე ნოვიკოვი.

ნ. ოსტროვსკის მემორიალურ და სახელმწიფო მუზეუმში მოსწავლეები გაეცნენ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას, შეხვდნენ ნ. ოსტროვსკის მდივანს ალექსანდრა ლაზარევას.

ქალაქში ექსკურსიის დროს ნორჩმა მოგზაურებმა დაათვალიერეს ადგილები, რომელიც დაკავშირებული იყო ნ. ოსტროვსკისთან: მაცესტა თერმულ-გოგირ- ...

## ყირგიზეთის სცენაზე ქართველი სტუმარი

ფრუნზე, 17 იანვარი. (საქინის კორ.). ... „გოლეტოს“ პარტიაში მეხუთასედ გამოვიდა.

ფრუნზელები გულთბილად შეხვდნენ პ. ამირანაშვილის წინა გამოსვლასაც სპექტაკლ „აიდაში“.

... ყოფის ადამიანები. კარგი იქნება, თუ ამას გამოეხმაურებიან ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკები და ქალაქები. ვიმედოვნებთ, რომ აქ შეძენილ ცოდნას, განცდილ შთაბეჭდილებებს გაუზიარებთ თქვენ თანატოლებს და ფართო საზოგადოებას“...

**დ. გოზალიშვილი.**

## კარგი ტრადიცია

ახმეტა. (საკ. კორ.). [illegible] ...

## დვაჟლმოსილის გაცილება

[illegible] (საკ. კორ.). ...

## კითხვა-პასუხის საღამო

[illegible] № 7 საშუალო სკოლის ... 

## „მოსკვიჩი“ 30 კაპიკად

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სოფელ ქვედა საქარაში მცხოვრებმა კ. ნებიერიძემ ზესტაფონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ფულისა და ნივთების ლატარიის 30-კაპიკიანი ბილეთი, რომელმაც მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნარიყალა ღამით.

ფოტო ზ. დათუაშვილისა.

## მშრომელთა მომსახურებისათვის

ქალაქ ამბროლაურის გარეუბანში მდინარე კრიხულას ნაპირზე აშენდა დიდი წარმადობის კეთილმოწყობილი აბანო. ამ აბანოთი სარგებლობენ აგრეთვე რაიონის კოლმეურნეები, მეცხოველეობის დარგის მუშაკები.

**ა. კერესელიძე.**

## სკოლის მუზეუმის ექსპონატები

საჩხერე. (საკ. კორ.). ოცი წლის წინათ ჩაეყარა საძირკველი ქორეთის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ამ კეთილშობილური საქმის თაოსანი ისტორიის მასწავლებელი მ. გოგატიშვილი იყო.

ამჟამად მუზეუმში არის გეოლოგია-მინერალოგიის, პალეონტოლოგიისა და ისტორია-არქეოლოგიის სექციები. ამ უკანასკნელს აქვს ექვსი განყოფილება — ქვის, სპილენძისა და ბრინჯაოს ხანის, ნუმიზმატიკის, ეთნოგრაფიისა და ხელნაკეთობისა. მუზეუმს ბევრი უნიკალური ნაპოვნი ამშვენებს. აქ არის უძველესი, გადაშენებული ფლორისა და ფაუნის გაქვავებული ნაშთები. საყურადღებოა გაქვავებული თევზები, ვეშაპის ძვლები, ზვიგენის კბილები, ზღვის ვარსკვლავები...

სოფელ ქორეთში მოსწავლე ნ. ეზიაშვილმა იპოვნა ღორის მსგავსი ცხოველის — ლისტრიოდონის ნაშთი. სპეციალისტების აზრით, ამ ცხოველს ათი მილიონი წლის წინათ უცხოვრია. ეს უიშვიათესი ნაპოვნი პირველია საბჭოთა კავშირში და ამით სოფელი ქორეთი შეტანილია საბჭოთა კავშირის პალეონტოლოგიურ რუკაზე.

ნუმიზმატიკის კოლექციაში დაცულია ძველი საბერძნეთის, რომის, ბიზანტიის, არაბეთის, მონღოლეთის, თურქეთის, რუსეთისა და საქართველოს უძველესი მონეტები.

მორალის თემაზე

# უღირსი მამა

### საჩივარი მოვიდა რედაქციაში

ამბავი ჩვეულებრივად დაიწყო. ჭიათურის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელმა აფრასიონ მოდებაძემ და ნათელა ბადურაშვილმა იქორწინეს. 1953 წლის პირველ დეკემბერს გატარდნენ რეგისტრაციაში. გადმოგვცემენ, ქორწილიც კარგი გადაიხადესო. ალბათ ბევრი სადღეგრძელო შეისვა ოჯახურ მშვიდობიან ცხოვრება-სიამტკბილობაზე, ცოლ-ქმარს უსურვეს ჯანმრთელობა, მომრავლება, ბედნიერება, მზე და მთვარესავით შებერება...

სწრაფად გაიარა თვეებმა. 1954 წლის შვიდ სექტემბერს ოჯახმა პატარა მარინეს დაბადება იზეიმა. ამ ბედნიერებას ახალგაზრდა ოჯახი თითქოს უნდა განემტკიცებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, პირიქით მოხდა. ურთიერთ შეუთანხმებლობის ნიადაგზე 1954 წლის 14 ნოემბერს ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდნენ...

1955 წლის 4 ოქტომბერი. ნ. ბადურაშვილმა ასეთი განცხადება შეიტანა ჭიათურის სახალხო სასამართლოში: სოფელ ჯოყოეთში მცხოვრებ ა. მოდებაძის კანონიერი მეუღლე ვიყავი. შეგვეძინა შვილი მარინე მოდებაძე. ცოლ-ქმარი ერთმანეთს დავშორდით. არ მინდა შვილს დაეკარგოს თავისი კუთხე. გთხოვთ გაარჩიოთ საქმე და მოგვანიჭოთ კანონის მიხედვით საცხოვრებელი ადგილი და ქონება.

პროკურატურის ჩარევით სასამართლო საქმე შედგა. მან კარგა ხანს იტრიალა ჭიათურაში. ხან გადაიდო, ხან აიცილეს. საქმემ ბევრჯერ მოიარა დედაქალაქი, მოინახულა საჩხერე. სავულისხმოა, რომ ამ საქმეზე თხუთმეტჯერ შედგა სასამართლო პროცესი, მარტო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ამ საქმეზე ექვსჯერ იმსჯელა, მაგრამ დავა, რომელიც მეცამეტე წელია დაიწყო, სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება, დაუმთავრებელია...

როცა ჭიათურის სახალხო სასამართლოს 1956 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩლეს უარი ეთქვა ბინის ნაწილის მიკუთვნებაზე და ეს გადაწყვეტილება უმაღლესმა სასამართლომ ძალაში დატოვა, საქმე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა განიხილა. მან აღნიშნული გადაწყვეტილებები გააუქმა იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩლეს უარი ეთქვა მოპასუხის კომლიდან სახლის ნაწილის გამოყოფაზე.

ოფიციალური დოკუმენტებით, სასამართლო გამოძიებით, მოწმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ ნ. ბადურაშვილი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ა. მოდებაძესთან. იყო კომლის წევრი. აქვე შეეძინა ბავშვი, რომელიც აგრეთვე კომლის წევრი და ა. მოდებაძის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრეა. ისიც დადასტურებულია, რომ ნ. ბადურაშვილი სამუშაოდან თავისუფალ დროს და შვებულებას ატარებდა სადავო კომლში. სახლის გადაკეთებისას ხელოსნებს უმზადებდა სადილს, აწვდიდა ფიცრებს, კრამიტს. იგი მოეხმარა ოჯახს 500 ძირი ვენახის გაშენებაში, მისთვის სარის დამზადებაში.

ა. მოდებაძე 1954 წლის ზაფხულში თბილისში გაემგზავრა გამოცდების ჩასაბარებლად (იგი დაუსწრებლად სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე). მაშინ ოჯახში — ა. მოდებაძის მოხუც დედასთან იმყოფებოდა ნ. ბადურაშვილი და შველოდა მას საოჯახო საქმეებში. აი რას წერს ა. მოდებაძე თბილისიდან მეუღლეს: „აბა შენ იცი და მადაურობამ. იცოდე, იმედი მაქვს, რომ დედაჩემს უჩემობას არ აგრძნობინებ. რაც მთავარია, ნოეს უთხარი და ვენახი გააკეთებინეთ“...

სადავო საქმეზე ამჯერად საჩხერის სახალხო სასამართლომ იმსჯელა და მოსარჩლეს მიაკუთვნა 15,5 კვადრატულ მეტრიანი ოთახი. ეს გადაწყვეტილება უმაღლესმა სასამართლომაც ძალაში დატოვა.

იურისტი ა. მოდებაძე არ ურიგდება ასეთ გადაწყვეტილებებს, იგი ვერ ისვენებს, იშველიებს ყოველგვარ კოდექსებს, ყოველნაირად ცდილობს კუთვნილი ბინა არ მისცეს თავის ერთადერთ შვილს. მან სიძველის მიზეზით განიზრახა სახლის დანგრევა-რეკონსტრუქცია. საქმეში პროკურატურა ჩაერია. ა. მოდებაძეს ნება დაერთო სახლის რეკონსტრუქციისა იმ პირობით, რომ მოსარჩლე ახალ ბინაში კვლავ მიიღებდა კუთვნილი ფართობის ოთახს. მაგრამ ამაოდ. ა. მოდებაძემ ცივი უარი განაცხადა გადაკეთებულ სახლში მოსარჩლისათვის ოთახის მიცემაზე.

1967 წლის 5 ივნისს კვლავ სასამართლო პროცესი შედგა, რომელმაც დაადგინა: ა. მოდებაძის რეკონსტრუირებულ შენობიდან მიეცეს მოსარჩლეს ერთი ოთახი 15 კვადრატული მეტრი ფართობით, ან იმავე ეზოში მოსარჩლესთან შეთანხმებით ა. მოდებაძემ აუგოს იმავე ფართობის ოთახი. ეს გადაწყვეტილება სწორად ჩათვალა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ და მისმა პრეზიდიუმმა.

მაგრამ ა. მოდებაძე არ ცხრება, იმუქრება მოსკოვში წასვლით, კუთვნილ ბინას არ უთმობს ერთადერთ მემკვიდრეს, მეშვიდე კლასელ მარინე მოდებაძეს...

ყველა, ყველა, მაგრამ ა. მოდებაძეს რატომ არ ებრალება საკუთარი შვილი მარინე, რომელიც უკვე ყველაფერს გრძნობს და განიცდის! მარტო ის რად ღირს, რომ ამ საქმის თაობაზე გოგონა დედასთან ერთად 24-ჯერ ყოფილა თბილისში! ამან, ბუნებრივია, იმოქმედა ბავშვის სწავლაზე. მარინე ფრიადოსანი იყო, ბოლოს კი ნიშნებმა იკლო. ნუთუ ერთხელ არ დაფიქრებულა შვილის მომავალზე უღირსი მამა? როდემდე უნდა თავისი შვილი ატაროს სასამართლო-პროკურატურაში?

ერთი დეტალიც: ამ საქმის თაობაზე ა. მოდებაძეც ხშირად არის თბილისში, მას, ალბათ, მარტო ტრანსპორტისათვის დაუხარჯავს იმდენი თანხა, რამდენიც სადავო ოთახი ღირს.

მართალია, სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებანი მოსარჩლის სასარგებლოდ არის გამოტანილი, მაგრამ ა. მოდებაძე ვერ დაარწმუნეს, რომ უმართებულოდ იქცევა, არ ცნობს განაჩენს, რომ არაფერი ვთქვათ მორალურ-ადამიანურ, მამობრივ მოვალეობაზე.

დავა მეცამეტე წელია გრძელდება. საკითხავია: როდის დამთავრდება იგი, როდის აღსრულდება სამართლიანი განაჩენი?

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## მახაროვლები ტერსკოლიდან

ტერსკოლში დამთავრდა სამთო მოთხილამურეთა საკავშირო ასპარეზობა.

შეჯიბრების უკანასკნელი დღის პროგრამას წარმოადგენდა სლალომ-გიგანტი. ქალთათვის ტრასა იყო 1.800 მეტრი, სიმაღლეთა სხვაობა 550 მეტრი 59 კარით. მოსკოველი გალინა შიხოვა ამ სახეობაშიც უძლიერესი იყო და სამჭიდში პირველობა არავის დაუთმო.

ახალგაზრდებიდან თავი ისახელა ყაბარდო-ბალყარეთის მეცხრეკლასელმა მოსწავლემ ლუბა კონოველცევამ. მან სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა, ამასთანავე საერთო ჩათვლაში მეხუთე იყო.

ვაჟთა შორის მოსკოველი ტალი მონასტირევი, სლალომ-გიგანტშიც უძლიერესი იყო და საერთო პირველობაც მას ხვდა.

## მედეოს საციგურაოზე

ალმა-ატაში გაზაფხულის ამინდი იდგა, ამიტომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი ჩქაროსნულ ციგურაობაში ვაჟთათვის გადატანილ იქნა მაღალი მთის ყინულის მოედანზე — მედეოზე.

როგორც ყოველთვის, ასპარეზობა 500 მეტრის გარბენით დაიწყო. აქ წარმატება ხვდა ვ. მურატოვს, რომელმაც დისტანცია დაფარა 39,6 წამში და ოქროს მედალი მოიპოვა, ე. გრიშინმა და ა. ლეპიოშკინმა 500 მეტრი გაირბინეს 39,7 წამში და ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

პირველი დღის შეჯიბრების პროგრამაში იყო აგრეთვე რბენა 5.000 მეტრზე. ამ დისტანციაზე ა. ანტსონმა სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა, აჩვენა დრო 7 წუთი და 34,8 წამი. ეს შედეგი 0,3 წამით უკეთესია წინანდელ რეკორდზე, რომელიც 3 წლის წინათ ოსლოში „ბიშლეტის“ სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში დაამყარა ე. მატუსევიჩმა.

ჩემპიონი 5.000 მეტრზე ციგურაობაში გახდა ა. ანტსონი. მეორე იყო ე. მატუსევიჩი, მესამე — ვ. პუზაკოვი.

ორი დისტანციის შედეგების ჯამით დაწინაურდა ა. ანტსონი, რომელსაც 86.180 ქულა ჰქონდა.

17 იანვარს მოციგურავეები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ 1.500 და 10.000 მეტრზე რბენაში.

მრავალჭიდში ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდით სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონობა დაიპყრუნა მოსკოველმა ინჟინერმა ედუარდ მატუსევიჩმა — 177,051 ქულა. 500 მეტრზე მისი შედეგი იყო 40,6 წამი, 5.000 მეტრზე — 7 წუთი და 39,4 წამი, 1.500 მეტრზე — 2 წუთი და 06,5 წამი და 10.000 მეტრზე — 16 წუთი და 06,9 წამი. ე. მატუსევიჩს მხოლოდ 0,069 ქულა დააკლდა იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინა ნორვეგიელი მოციგურავის ერიკ სტიანსენის მსოფლიო რეკორდი.

## მეთორმეტე ყაიმი

გუშინ მსოფლიოს პირველობაზე ი. კუპერმანისა და ა. ანდრეიკოს მატჩის მეცამეტე პარტია ასუჯრედიან შაშში ყაიმით დამთავრდა. ანგარიშია 7:6 ი. კუპერმანის სასარგებლოდ.

## ხანძარს მამაცურად შეებრძოლა

ამას წინათ ზუგდიდში, წერეთლის ქუჩაზე მდებარე ნავთობის ბაზის განყოფილების ბენზინის გამმართავ № 1 პუნქტში (უფროსი კ. ბულია) საწვავის მისაღებად ჩამოდგა ზუგდიდის მეორე ავტოსატრანსპორტო კანტორის „გაზ-53“-ის სისტემის გრუ № 12-62 ავტომანქანა, რომელსაც მძღოლი ო. ხასია მართავდა. მანქანის კვების სისტემის უწესრიგობის გამო ბენზინის წვეთები მოხვდა მაყუჩის გახურებულ ზედაპირზე, რის გამოც ცეცხლი გაუჩნდა მაყუჩს და შემდეგ იგი მანქანის კაბინის ქვეშ გადავიდა. ხანძრის კერა თანდათანობით ფართოვდებოდა. ამავე დროს ხანძრის საშიშროება ემუქრებოდა თვით ბენზინის გამმართავ პუნქტსა და ბენზინის ცისტერნებს.

უეცრად გაჩენილმა ხანძარმა ვერ დააბნია ბენზინის გამმართავი პუნქტის ოპერატორი ვალიკო ქობალია. იგი ქვიშითა და ცეცხლმქრობით მამაცურად შეებრძოლა გაჩენილ ხანძარს, რომელთან ჭიდილში მას დახმარება გაუწიეს შემთხვევის ადგილზე მოხვედრილმა მოქალაქეებმაც. მალე მათ მოუსწრეს ზუგდიდის სახანძრო რაზმის მებრძოლებმაც.

ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. სახელმწიფო ქონება დაწვას გადაურჩა.

**ბ. ალშიბაია.**

## როგორ გადაარჩინეს საშა

დნეპროპეტროვსკი, 17 იანვარი. (საქდესის კორ.). ქალაქის 24-ე საავადმყოფოში მიიყვანეს 11 წლის მოსწავლე საშა კულიბაბა, რომელიც ცხოვრობს სოფელ კარნაუხოვსკიე ხუტორაში. საშა მძიმე მდგომარეობაში იყო, სული ეხუთებოდა, სულ გალურჯებულიყო. თურმე, როცა ავტოკალამს მელნით ავსებდა, ავტოკალმის თავსახური პირში ჰქონია გაჩრილი. ამ დროს შეუსუნთქია, და თავსახური მარცხენა ბრონქში მოხვედრილა და დაუხშვია.

ბავშვის გადარჩენისათვის ექიმები სასწრაფოდ დატრიალდნენ. დნეპროპეტროვსკის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტმა ე. თ. ბოგაცკიმ სამჯერ სცადა კალმის თავსახურის ამოღება. მაგრამ იგი ვერ ეტეოდა ყიაში. საშას, როგორც სჩანდა, ყელის ოპერაციის გარდა არაფერი უშველოდა.

მაშინ ე. თ. ბოგაცკიმ გადაწყვიტა შეექმნა სპეციალური ინსტრუმენტი. მეცნიერმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა კავშირის მილის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საცდელ ქარხანას. ოსტატმა ი. გ. სინტიანოვმა, ბრიგადირმა ვ. ა. კოლომოეცმა, ზეინკლებმა ი. ე. სპექტორმა, ვ. ი. ანდრონოვმა და მათმა მეგობრებმა რამდენიმე საათში დაამზადეს ორიგინალური სამედიცინო მაშა. ამ მაშით ექიმებმა ფრთხილად და სწრაფად ამოიღეს ბრონქიდან უცხო სხეული. დღეს უკვე საშა წამოდგა, თავს კარგად გრძნობს. მამამისი — დნეპროძერჟინსკის ქიმიური კომბინატის მუშა ივანე და დედა ევდოკია მხურვალე მადლობას უხდიან შვილის მხსნელებს.

## 39 ქვეყნიდან

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროში 18 იანვარს შეაჯამეს ჩვენს ქვეყანაში საზღვარგარეთულ პერიოდულ გამოცემებზე მიმდინარე წლის ხელმოწერის შედეგები.

1968 წლის 1 იანვრიდან საბჭოთა მკითხველები ხელმოწერით ყოველდღიურად იღებენ და „სოიუზპეჩატის“ კიოსკებსა და მაღაზიებში იძენენ 2.600 სახელწოდების გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებიც მოდის მსოფლიოს 39 სახელმწიფოდან. (საქდესის კორ.).

## რამდენიმე სტრიქონით

⊙ ერევნის „არარატის“ მთავარ მწვრთნელად და უფროსად მიწვეულია სომხეთის სსრ დამსახურებული მწვრთნელი ე. გრიგორიანი. უმაღლესი ლიგის დებიუტანტის კიროვაბადის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად დანიშნულია ა. აბილ-ზადე.

⊙ ბევერვეიკის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე საბჭოთა გროსმაისტერი ვ. კორჩნოი ტრიუმფით განაგრძობს წინსვლას. შვიდი ტურის შემდეგ მას შვიდი ქულა აქვს. ლიდერს მისდევენ ტალი და გეორგიუ, რომლებსაც 4,5-4,5 ქულა აქვთ.

⊙ ცნობილი გახდა, რომ თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენი ავსტრალიელი კეტი უეინრაიტი მონაწილეობას არ მიიღებს მეხიკოს ოლიმპიურ ასპარეზობაში. როგორც ირკვევა, კეტის ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია ამერიკელი სპორტსმენის დები მაიერის ბრწყინვალე წარმატებამ, რაც გამოიხატა ოთხი მსოფლიო რეკორდის დამყარებით.

⊙ მოციგურავეებს ოლიმპიური ასპარეზობის წინ ცხარე დღეები აქვთ. ჰელსინკში ამოიწურა ფინეთის პირველობა. ამ ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი მეშვიდეჯერ გახდა კ. მუსტონენი, რომელმაც 209,050 ქულა შეაგროვა. მეორე იყო კ. კესკივიტიკასი — 210,383 ქულა.

⊙ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი კალათბურთში ცსკა-სა და კაუნასის „ჟალგირისის“ გუნდებს შორის. გაიმარჯვა ცსკა-მ 74:54 (40:24).

## ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. შ. ს. კობახიძე დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.


## თბილისის № 23 ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მრთველებისა და მბრეხავების სპეციალობაზე.

სასწავლებელში მიიღებიან 7, 8, 9 და საშუალო განათლების მქონე 16-25 წლის გოგონები. სწავლების ხანგრძლივობა 1-1,5 წელია. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით, საერთო ბინით და მიიღებენ გამომუშავებიდან 33 პროცენტს.

საშუალო განათლების მქონე მოსწავლეები, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ სასწავლებელს, უკონკურსოდ ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებელში მონათესავე სპეციალობაზე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლებისათვის.

სასწავლებელში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. 8 კლასის ან საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, 2. დაბადების მოწმობა, 3. ფოტო 3X4-ზე, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. პასპორტი.

მეცადინეობა დაიწყება 15 მარტს. სასწავლებლის მისამართია: თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. № 8, № 23 ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებელი. ტელეფონი: 6-19-55, ტრამვაი: 11, 5, 6, ავტობუსი: 11, 18, მეტროს სადგური „ელექტროდეპო“.

## კავშირგაბმულობის ოდესის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას წარმოებისაგან მოწყვეტით 1968-1969 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. რადიოკავშირგაბმულობა და რადიომაუწყებლობა, 2. ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა, 3. მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობა.

ინსტიტუტი ამზადებს ინჟინრებს ფართო პროფილით: რადიოელექტროტექნიკის, იმპულსური ტექნიკის, რადიორელეური ხაზების, ტელევიზიის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, შორეული და ფოტოტელეგრაფის კავშირის, ავტომატური სატელეფონო სადგურებისა და სახაზო საკაბელო ნაგებობათა სპეციალობით.

ზემოაღნიშნულ ინსტიტუტში შემსვლელთათვის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსთან მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან მუშაობას იწყებს მოსამზადებელი კურსები.

განცხადებები აბიტურიენტთა ინსტიტუტის მოსამზადებელ კურსებზე ჩასარიცხად მიიღება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს კადრების განყოფილებაში 1 თებერვლამდე.

მოსამზადებელ კურსებზე სწავლება განსაზღვრულია 6 თვით, რომლისთვისაც აბიტურიენტი იხდის 20 მანეთს.

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე ქალაქ ოდესაში. დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს კადრების განყოფილებას.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 12, ტელ. 9-89-80, 9-91-04, 3-45-11.

## თბილისის № 6 ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას 1967 68 სასწავლო წელს ქართულ და რუსულ სექტორებზე ერთი, ორი და სამწლიანი სწავლების ვადით

შემდეგ სპეციალობებზე: ხარატები, მექანიკური საამწყობო სამუშაოთა ზეინკლები; ზეინკალ-შემკეთებლები.

სასწავლებელში მიიღებიან 8, 9 და 10 კლასის განათლების მქონე ორივე სქესის მოქალაქენი ქალაქიდან და სოფლიდან 16-30 წლამდე.

სწავლება უფასოა.

სამწლიან ჯგუფებში ჩარიცხული მოსწავლეები დამთავრების შემდეგ სპეციალობასთან ერთად მიიღებენ სიმწიფის ატესტატს. 10 კლასის განათლების მქონე ახალგაზრდები ქალაქიდან და სოფლიდან, რომლებიც ერთწლიანი სწავლების ჯგუფებში იქნებიან ჩარიცხულნი, სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მიიღებენ უფლებას შესაფერისი პროფესიით კონკურსის გარეშე ჩაირიცხონ საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებაზე უმაღლეს სასწავლებელში. სწავლების პერიოდში მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით და 8 კლასდამთავრებულ მოსწავლეებთან ერთად დაკმაყოფილდებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით და საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული ხელფასის 33 პროცენტით.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება სასწავლებლის დირექტორის სახელზე, რვა კლასის მოწმობა, სიმწიფის ატესტატი, ავტობიოგრაფია, რვა ფოტოსურათი 3X4 სმ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, დაბადების მოწმობა და პასპორტი, პირადი საქმე სკოლიდან, ცნობა სამხედრო დამოკიდებულების შესახებ.

მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის რაიონი, მაგნიტოგორსკის ქუჩა № 1. ავტობუსი № 18, 24, 46, 9, 57, მეტრო. სადგური „დიდუბე“. ტრამვაი № 5, 6. ტელეფონი 6-34-15.


## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

**19 იანვარი**

10.30 — კინონარკვევები, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სულიკო“, 12.45 — „წინ გრენობლია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა უფროსკლასელთათვის „მამაცთა გზით“, 18.15 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.55 — გადაცემა — საზოგადოებრიობა და დანაშაულთან ბრძოლა, 19.10 კინონარკვევი, 19.35 — ახალგაზრდობის თვითმოქმედების სატელევიზიო ფესტივალი — გადაცემა მეორე, 20.35 — კინონარკვევი, 20.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.05 — კინონარკვევი, 21.15 — „ტელეპანორამა“, 21.45 — ქართული მხატვრული ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“, 23.10 — გადაცემათა პროგრამა 20 იანვრისათვის, 23.15 — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „ცამეტი სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

**20 იანვარი**

10.00 — ვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „გილოცავთ დაბადების დღეს!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „ჯანმრთელობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — ქართული მხატვრული ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“, 13.45 — საშაბათო რეპორტაჟი — „ლენინურ რიგებში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა „ბავშვების დიდი მეგობარი“, 17.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 17.50 — „იცით თუ არა!“ 18.00 — ფილმის დაბადება, 18.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ 1960 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.06 — სატელევიზიო ჟურნალი „ირმის ნახტომი“, 20.45 — გადაცემა „ალექსანდრე ყაზბეგი“, 21.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სულიკო“, 22.55 — გადაცემათა პროგრამა 21 იანვრისათვის, 23.00 — „1967 წლის მელოდიები“ მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა ბუქარესტიდან), 23.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.40 — „საცეკვაო დარბაზი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 10 საათიდან.

### თეატრები

**19 იანვარი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბებერი მეზურნეები, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — წმინდანები ჯოჯოხეთში, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ნინო.

### კინო

**19 იანვარი**

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, კოლხიდა, — იგი მარტო წავიდა (I-II სერია), საქართველო (მწვანე დარბაზი), სპარტაკი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — მამა.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.


კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93 03, 9.03.09, პ/მ მდივნის — 9.72.80, სამდივნოს — 9 66-10, განყოფილებების: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3.22.93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9.55.01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფ 03122 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.